

ნოჯიხური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ

ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №38 ღვინობისთვე, 2016

**რაც არ უნდა გაუჭირდეს, რაც გინდ ბედი დანავსოდეს,
საქართველო არც მომკვდარა, არც მოკვდება არასოდეს!!!**

შოთა რუსთაველი — 850

შოთა რუსთაველი ამაღლების მთაზე

(ბალადა)

სახელგანთქმული მეცნიერი აღმოსავლელი
ქვეყნიდან ქვეყნად დადიოდა, მოგვების მსგავსად.
ხალხებს იცნობდა ხალხთა სიბრძნის გამომსახველი
მსმენელთა ჯარი დას-დასობით ეხვია გარსა.
პალესტინაში პაექრობა გამართეს დიდი
ფილოსოფოსთა, ღვთისმეტყველთა, ბრძენთა, მგოსანთა.
ვინ ვის აქებდა... მაგრამ ყველა დადუმდა რიდით
როს ამეტყველდა, ვისაც მოგვის რიდე მოსავდა:
„დარბაისელნო, არ უსმინოთ კაცთა გოროზთა!
რა საჭიროა ფუჭი შეხლა, დავა და შფოთვა?
სხვა საამაყო არაფერი რომ არ ჰქონოდა,
ერთი ერისთვის იკმარებდა მართ ოდენ შოთა.
მე ოქროს ვარსკვლავს მოვყვებოდი, დერვიშთა მსგავსად,
ვნახე ბაღდათი, გურჯისტანი, ყველგან ქებული,
აქ ცოდნის ლამპარს შავი მუმლი ეხვევა გარსა,
დამემოწმება სახელოვან ბრძენთა კრებული.
მონასტრის ბაღში ვნახე მათი დიდი მგოსანი,
ვიგემე მისი სიბრძნის წყარო დაუშრობელი,
მაშინ დავლოცე მისი მიწა, მისი მშობელი,
მისგან ქებული დედოფალი გვირგვინოსანი.
ცის ჰარმონიას არღვევს ზოგჯერ მზაკვრული ხრიკი,
მაგრამ არასდროს დაირღვევა სიტყვა წყობილი,
არ დაირღვევა, ცოდნის ბურჯნო, ტაძარი იგი,
სადაც ლოცულობს რუსთაველი ხელაპყრობილი.
დარბაისელნო... აგერ შოთაც“! შეირხა კრება...
ის იდგა მთაზე, ბრძენი, ბრძნულად ჩაფიქრებული...
იერუსალიმს დაუამდა ჯვარცმულთა ვნება
და კრძალვით ადგა აღმოსავლელ ბრძენთა კრებული.

აკაკი გელოვანი

გალაკტიონ ტაბიძე — 125

გაზაფხულის ღამე

ცელქი სიო აღტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს,
და პეპელა ძალმიხდილი, ჩასდნობია ვარდის ტუჩებს,
მთვარე ყინვით ნაკვეთ მწვერვალს მხურვალებით
ლოცავს, კოცნის,
და ხანდაზმით ისმის ჰანგი გულჩათუთქულ ღამის მგოსნის.
იადონო! ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა გრძნეული,
არა მძინავს და ყურს გიგდებ სევდიანი, იჭვნეული,
ბუჩქის ძირას, ფეხაკრეფით, ახლო, ახლო მოვირბინე,
გადმეშალა ფიანდაზად ძირს მინდორი მობიბინე.
არ ვიცოდი, რა მინდოდა, არ ვიცოდი, რას ვიცდიდი,
ცას მხურვალედ მივაშტერდი და სიმწარით ავქვითინდი.
ნიავი კი აღტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს,
და პეპელა ძალმიხდილი, ზედ ადნება ვარდის ტუჩებს...

ვაჟა-ფშაველა — 155

სიმღერა

(ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)

არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა.
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა.
ჩემს გარდა ასეთ ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.
საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას — ვარსკვლავების ჯარია,
დილით — მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟღი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩქნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, უღრანს ტყეს მოსული,
თალხკაბა, ენამტკბარია.
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, —
მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
— ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —
მძინარეც ამას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
— ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —
მძინარეც ამას ვდუდუნებ:
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ.

მამია გურიელი — 180

ადამიანი

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი,
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი,
შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი,
გთხოვ აღმისრულოთ ეს სათხოვარი:
ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ
და ბედიც კეთილგუნებიანი
თან დაგდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
იყავი ტურფა, იყავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,
ხელმწიფედ დაგსვა, გქმნა სრულსვიანი?
მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,
მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!
დაე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,
თვით ნუ იცვლები, მოვა დროება,
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი!
ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუკი გსურს გახდე ადამიანად!

არც ქვეყნისაა! არც ჩვენებია!

მამულში ისევ არჩევნებია,
შედეგიც უკვე ნაჩვენებია,
ესენი ისევ სარჩენებია —
არც ქვეყნისაა! არც ჩვენებია!
ირგვლივ მტრობა და გარჩევებია,
რუკაზე ქართლის ნარჩენებია,
ეს კინო ისევ საჩვენებია...
არც ქვეყნისაა! არც ჩვენებია!
სამშობლოს მუმლი დასჩემებია,
სამშობლოს ძერა დასჩერებია,
ეს ორი სიტყვა ამჩემებია:
არც ქვეყნისაა! არც ჩვენებია!

ლაშა ნადარეიშვილი

მზის შვილები

რევაზ ერისთავი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №№ 19, 20, 21, 22, 23, 27, 29, 31, 32, 33, 35.).

ძალზე საგულისხმოა ერთი ეპიზოდი წიგნიდან „აკუ-აკუ“, როდესაც ტურ ჰეიერდალის ექსპედიცია აღდგომის კუნძულზე ჩავიდა, ისინი დასახლდნენ სოფელ ანაკენაში. ეს ის სოფელია, სადაც პირველი თეთრკანიანი ბელადი ხოტუ მატუა სახლობდა. ექსპედიციის წევრები სახელდახელოდ გამართულ კარვებში ცხოვრობდნენ. ერთ საღამოს, როდესაც ისინი დასაძინებლად მოთავსდნენ თავიანთ კარვებში, მათი ყურადღება მიიპყრო ჯერ არსად მოსმენილმა, საოცრად მელოდიურმა სიმღერამ. ამ სიმღერის ხმაზე ექსპედიციის წევრები ფრთხილად გამოვიდნენ კარვებიდან და გარემო მოათვალიერეს. მელოდიას, რომელსაც საოცრად პოლიფონიური იყო, გრძელყურებიანები ასრულებდნენ, რომლებიც კოცონის გარშემო ისხდნენ და მელოდიასთან ერთად ოფსიდიანების ხელეჩოებს რითმულად ურტყამდნენ მიწაზე. ყველაფერ ამაში, რაღაც უცნობსა და ისტორიამდელს შეიგრძნობდა კაცი. ექსპედიციის წევრები მოჯადოებულები, თითქოსდა მთვარიდან ჩამოცვენილები, უსმენდნენ ჯერ არსად გაგონილსა და მოსმენილ მელოდიას.

ყველაზე გასაოცარი მაინც მელოდია იყო. ამ გუნდში ერთი მკვეთრი გროტესკული, მაღალი ხმა გამოირჩეოდა, ის თითქოს მელოდიას არ ეთანხმებოდა, მაგრამ მთლიანობაში საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ჯერ ორი კაცი დაიწყებდა სიმღერას, გაურკვეველი დროის შემდეგ მას აყვებოდა მთელი გუნდი. მაღალი გროტესკული ხმა შემდეგ სხვა მელოდიას მღეროდა, მაგრამ სიმღერაში თავისებურ ჰარმონიულ ეფექტს ახდენდა.

მე, ამ წიგნის ეს ეპიზოდი ძალზე ბევრ ქართველს ნაცნობსა და უცნობს წავაკითხე. ყველას ვაძლევდი ერთი და იმავე შეკითხვას: „ეს სიმღერა ხომ არ გაგონებთ რაიმეს“? თითქმის ყველასგან ერთი და იგივე შინაარსის პასუხი მესმოდა: „ეს სიმღერა, ისეთნაირად არის აქ აღწერილი, ტურ ჰეიერდალის მიერ, რომ გურულ პოლიფონიურ კრიმანჭულს უნდა გავდესო“.

არის კიდევ ერთი ეპიზოდი ამ წიგნში, რომელიც ასევე საყურადღებოა; ტურ ჰეიერდალს მიმართავს ორ გრძელყურებიანი კუნძულელი: „თქვით თამამად თქვენ ხომ ჩვენი შტოს წარმომადგენელი ხართ, რომლებმაც მრავალი მოდგმის წინ დასტოვეს ეს კუნძული და ახლა დაბრუნდით თქვენი წინაპრების სამშობლოში.

კარგი, ნუ გვატყუებთ, გამოტყდით, თქვით სიმართლე, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვყავდა თეთრკანიანი მეფე ხოტუ მატუა, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ანაკენაში. ეს იყო დიდი ხნის წინ. თქვენ კი, როგორც კი ამ კუნძულზე მოხვედით, ზუსტად იმ ადგილზე დასახლდით, სოფელ ანაკენაში, სადაც ხოტუ მატუა ცხოვრობდა. თქვენ მისი შთამომავლები ხართ“?

ტურ ჰეიერდალს არაფერი გაეგებოდა ხოტუ მატუას წარმომავლობის შესახებ. მან კუნძულზე გაგონილი ლეგენდებიდან მხოლოდ ის იცოდა, რომ ხოტუ მატუა იყო ის თეთრკანიანი ბელადი, რომელიც პირველად მოვიდა კუნძულზე და თან მოიტანა ინდიელ აბორიგენთა შორის ცივილიზაცია.

საერთოდ, ტურ ჰეიერდალმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა მსოფლიოში უძველესი ხალხების კონტინენტიდან კონტინენტზე მიგრაციის საკითხის გარკვევისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, მან პრიმიტიული ნავით, „კონ ტიკით“ გადასცურა წყნარი ოკეანე, პერუს ქალაქ კალიაოდან ტიამოტუს კუნძულამდე. შემდეგ პაპირუსისაგან მოწნული ნავებით „რა-1“ და „რა-2“-ით სხვადასხვა დროს შეასრულა ორი რეისი საერთაშორისო ეკიპაჟით. მანამდე, 1955 წელს, მოაწყო ხანგრძლივი ექსპედიცია აღდგომის კუნძულზე. შემდეგ ასევე უნდა ემოგზაურა ნავი „ტიგრისით“, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტმა, რომელიც მაშინ საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით სპარსეთის ყურეს აკონტროლებდა, ჩაუშალა ეს რეისი.

გამოსცა მრავალი წიგნი და სტატია ამ მოგზაურობების, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი ცდა, რომ შეექმნა ჩამოყალიბებული თეორია მსოფლიოს ხალხთა მიგრაციის შესახებ, მარცხით დამთავრდა. იგი, თავის ეგრეთწოდებულ თეორიაში, ვერ ხსნის მთავარს — თუ რომელი მოდგმის ხალხი იყო ის, ვინც პატარა, სწრაფმავალი ხომალდებით მამაცურად სერავდა დედამიწის ზღვებსა და ოკეანეებს. იგი საერთოდ არ იცნობს იბერებს (ბასკებს) ქართველთა განაყოფ ძმებს, რომლებმაც დაახლოებით 3500 წლის წინათ, ან კიდევ ადრე, საქართველოს მიწა-წყალი დასტოვეს იქ მიმდინარე კატაკლიზმების გამო და დროთა განმავლობაში მთელი ჩვენი პლანეტა მოიარეს. ასევე მას არ წაუკითხავს დიდებული ქართველი მეცნიერის ნიკო მარის სიტყვები: „რა წყაროა იგი უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მცირე ერს, ამდენი სულიერი შეუპოვრობა და დაუღალავი და შემოქმედებითი სიმხნევე მიუღია? საიდან მოჩქეფს ეს მისი თავისებურება? განა ბერძნებისაგან ან სპარსებისაგან ან არაბებისაგან? უფრო გვიან კავკასიაში შემოსულ ერებზე ხომ საკითხის დასმაც არ გვჭირია. ცხადია, რომ ქართველი ერის კულტურული თვით მოღვაწეობაც და მისი თავისებურებაც შინაგან ძალთა ნამოქმედარია.“

უდავოდ, დიდი იყო იბერთა დამსახურება მსოფლიოს ცივილიზაციის შექმნის საქმეში. ყველგან ისინი ჩადიოდნენ თეთრკანიანი ბელადების სახით. მიჰქონდათ ველურ აბორიგენებთან ცივილიზაცია და განათლება, ქმნიდნენ მათთან დიდ კულტურებს. ისინი იყო ის ხალხი, ვისაც ტურ ჰეიერდალი ოროხონებს უწოდებს. სწორედ მათ ჰქონდათ თეთრი კანი, კეხიანი ცხვირები და წვერები. მათში იყო ხოტუ მატუა, ვირა-კოჩა, ვარივერები და ხარივერები. მათ ეხურათ თავზე ჟღალი ფერის ყაბალახები, რომლებიც შემდეგ თაობიდან თაობებში, სიტყვიერი გადაცემით, გრძელყურებში გადაიზარდა. მათი წყალობით ჩვენი პლანეტის გეოგრაფიული დასახელებების (ტოპონიმების) უმეტესი ნაწილი ქართულია (ლაზური, მეგრული) ბევრი სხვა და ბევრი სხვა.

ეს ნაშრომი გვინდა დავასრულოთ ცნობილი ქართველი მკვლევარის, სიმონ ფირცხალავას სიტყვებით: „სამწუხაროდ ერთი რამ ჰბორკავს და ცუდი გზით მიმართავს ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა მუშაობას. ეს არის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის უცოდინარობა. წინა აზიის ისტორია, და თავისთავად ცხადია, რომ მკვლევარი აუცილებლად უნდა გაეცნოს იაფეტიანთა დღემდის დარჩენილ წარმომადგენლებს — რადგან ამ ცოცხალ ხალხებში და მათ ენებში შენახულია ნაშთი უძველესი დროისა“.

ეპილოგი

ბრძენ კაცს უთქვამს: — ყველა ამბავს კარგი დასაწყისი და კარგი დაბოლოება უხდებაო.

ჩვენც ასე გვქონდა გადაწყვეტილი — ამ ნაშრომისათვის რიგიანი დაბოლოება ჩამოგვეყალიბებინა, მაგრამ ეს კარგა ხანს არ მოხერხდა. კალამი არ მემორჩილებოდა, გონებაც ჯიუტობდა... და მაშინ, როცა მე ამ ნაშრომის პროლოგის შექმნაზე თითქმის ხელი მქონდა ჩაქნეული, სწორედ ამ პერიოდში ზამთრის ერთ ღამეს, არ ვიცი სიზმარი ვიხილე თუ გამოცხადება. მე მომევლინა ერთი თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც ერთ ხელში ანთებული წმინდა სანთელი ეჭირა და მეორეში კი — ოქროსფერყდიანი, შარავანდედით მოსილი წიგნი. მოხუცს თან ახლდა ათიოდე ახოვანი ყმაწვილი კაცი. ისინი მბრწყინავ ტანსაცმლებში იყვნენ გამოწყობილნი, ჰქონდათ თეთრი ფერის კანი, მოკლე წვერები, არწივისებური ცხვირები და ცისფერი თვალები. მათი სხეულები მიწას სულ არ ეხებოდა, თითქოს ჰაერში იყვნენ გამოკიდებულნი.

მოხუცი წინ წამოიწია, თავაზიანად თავი დამიკრა და წყნარი ხმით მითხრა:

— ჩვენ თეთრი რასის წინამორბედი ადამიანები ვართ, დიდი ხნის წინათ რომ მოვევლინეთ დედამიწას. აქ, მაშინ, არ იყო არც წესი და არც რიგი. ირგვლივ მხოლოდ ველური აბორიგენები დაეხეტებოდნენ. ჩვენ მოვედით იმ პლანეტიდან, რომელიც ერთ დროს მზის გარშემო დედამიწასავით მოძრაობდა.

ერთ დღეს, მზის შვილმა, ფაეთონმა, ცეცხლისმფრქვეველი ეტლის ჭენების დროს, გააფთრებულ რაშებს სადავეები ვერ დაუჭირა და ეტლი ჩვენს პლანეტას დააჯახა. ჩვენი პლანეტა დაიმსხვრა და განადგურდა. პლანეტის ყველაზე დიდი ნამსხვრევი დედამიწამ მიიზიდა და მისი თანამგზავრი გახდა, ახლა თქვენ რომ მთვარეს უწოდებთ — ის.

ამ კატასტროფამ უამრავი ხალხის სიცოცხლე შეიწირა. გადარჩენილებმა სინათლის სხივთან ერთად, უახლოეს პლანეტას — დედამიწას მოვაშურეთ.

ჩვენ იბერები გვქვია, დედამიწაზე მზის შვილებს გვიწოდებდნენ. მოსვლისთანავე დიდ კუნძულზე დავსახლდით, რომელსაც ჩვენი მშობლიური პლანეტის სახელი, ატლანტიდა ვუწოდეთ.

ატლანტელებს გვქონდა უაღრესად განვითარებული ფსიქიკა. ვფლობდით სულიერ და მენტალურ ძალებს. სახელმწიფოს ვხელმძღვანელობდით თეოკრატიული მეთოდებით. ჩვენ გავავრცელეთ დედამიწაზე კოსმოსური მოძღვრება, რაც შემდეგ, მომდევნო თაობებში (აბორიგენებისათვის) რელიგიად იქცა.

ატლანტიდელებს გვქონდა საფრენი მოწყობილობები, ვიცნობდით და ვიყენებდით იმ სასწაულმოქმედ სხივებს, რომელსაც თქვენ დღეს ლაზერისა და რენტგენის სხივებს უწოდებთ. გვქონდა ძლიერი რადიაციული კრისტალი, რომელიც იბერმუდის (თანამედროვე ბერმუდი) კუნძულებთან ჩაიძირა მომხდარი კატასტროფების დროს. ამ კრისტალის მიზეზით ხდება დღეისათვის იბერმუდის სამკუთხედში მიმდინარე სასწაულები.

ჩვენ ვცხოვრობდით კუნძულ ატლანტიდაზე, მანამ სანამ კატასტროფები და კატაკლიზმები დედამიწაზეც არ განმეორდა. მძლავრმა მიწისძვრებმა და ვულკანურმა ამოფრქვევებმა ჩვენი კუნძული, ატლანტიდა ჩაძირა. ვინც კი გადავრჩით, კავკასიას შევავფარეთ თავი.

დროთა განმავლობაში ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენს ირგვლივ წითელკანიანი, ყვითელკანიანი და შავკანიანი ველური ტომები ცხოვრობდნენ — კაცობრიობის მესამე რასის წარმომადგენლები, რომელთაც ოკულტისტები დღეისათვის ლემურიას უწოდებენ. ნათელი იყო, რომ ეს ხალხი ცივილიზაციისათვის უნდა გვეზიარებინა, თორემ მათთან ერთად ცხოვრება ძალზე გაგვიჭირდებოდა. ამიტომ მე, ბელადმა რიომ, ჩვენს ხალხს მოვუწოდე, რომ როგორც მისიონერებს, ამ ველური ტომებისათვის მიგვეცა განათლება.

ამას დაემთხვა ისიც, რომ კავკასია, როგორც ახალგაზრდა მთების მასივი, ხშირი კატაკლიზმების არეალი შეიქმნა. ამიტომ ჩემი მოწოდება ხალხის ნაწილმა გაიზიარა და ჩვენ ერთ დღეს კავკასია დავტოვეთ და მზის ჩასვლის მიმართულებით გავემართეთ.

პირველი კოლონიები ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში დავაარსეთ. ამის შემდეგ ჩვენ, იბერებმა, მთელი დედამიწა მოვიარეთ: შუამდინარეთი, ეგვიპტე, ავსტრალია, აფრიკა, სკანდინავია, ამერიკა, აღდგომის კუნძული, მიკრონეზიის კუნძულები და ბევრი სხვა ადგილები.

ჩვენ ვქმნიდით გენიალურ ტექნიკურ შედევრებს. ვაგებდით გაუგონარი სილამაზის სასახლეებს, ტაძრებს, პირამიდებს, გზებს, ნავსადგურებს, საირიგაციო სისტემებს. ჩვენი შექმნილია, ეგვიპტის, შუამდინარეთის, ინდოეთის, ტიბეტის, მაიას, ინკების და სხვა ბევრი ცივილიზაციები.

ყველა იბერი მისანია... ჩვენ შეგვიძლია ტრანსფორმირება, ბედისწერის გვერდის ავლა, შეგვიძლია ნებისმიერ გაჭირვებას გავუძლოთ.

ჩვენ სულით ვცხოვრობთ და არა გონებით. ჩვენი სული ისე წმინდა და ნათელია, ისეთი ღრმა და სპირიტუალურია, რომ წარმოუდგენელია მისი ჩველებრივად აღქმა.

იბერები, სამყაროს მეხუთე სიბრტყეში — ეთერში ვარსებობთ. ჩვენთვის ეთერი, სამყაროს ჩვეულებრივი კომპონენტებისგან (ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა) განცალკევებულია.

იბერებს უნარი გვაქვს სინათლის სხივის წაკითხვისა, რომელიც აზრის სიმბოლური გამოხატვის იდეოგრამაა. ამიტომაც არის იბერთა ტომებში ცეცხლი წმინდა და ღვთიური.

ჩვენ, ამ მრავალსაუკუნოვანი მოგზაურობის დროს გზას გვინათებდა წმინდა სანთელი, ჩვენი მამის — მზის სიმბოლო და შარავანდედით მოსილი ეს წიგნი.

მოხუცმა რომ ოქროსფერიან წიგნზე მიმითითა.

— ეს წიგნი ჩვენი მშობლიური ენის უკვდავი მატიანეა. ამ წიგნის ენას ჰქვია — ენა ქართული.

უთხარით მიწიერ მეცნიერებს, რომ ნუ ეძებენ ამ დამწერლობის ძირებს დედამიწაზე. მისი წარმოშობა, ანბანთან ერთად მისტიკურია, ასტრალური, ხოლო ასევე მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური ენები იგივე ქართველური ენებია და ამ ენებშია დამარხული ყოველივე საიდუმლო.

თვით მაცხოვარი იესო ქრისტე, ატლანტიდიდან დედამიწაზე მოვლენილი ღვთაებრივი პიროვნებაა. როცა იგი ამ ქვეყანას მეორედ მოევლინება, სწორედ ამ ენით ამხელს ყოველ საიდუმლოს დედამიწაზე!

შვილო ჩემო! ყველამ უნდა იცოდეს, რომ პლანეტა ატლანტიდა ყოველთვის იყო მიუწვდომელი, იდუმალებით მოცული ქვეყნის სიმბოლო. რასაც შენ ქადაგებ სრული სიმართლეა, რომ ეს ასეა, ამას დრო დაამტკიცებს, თუმცა შენ მაშინ აღარ იქნები. შენი სული ზეცაში იქნება აჭრილი და შენ შენს წინაპრებს დაუბრუნდები, რათა მათთან ერთად მარადიული სიცოცხლით იცხოვრო.

შენც ატლანტიდების შთამომავალი ხარ. ატლანტიდებს კი, კოსმოსური რელიგიით სიკვდილი, ნანატრი მოსვენების, სულიერი ამაღლების სიმბოლოდ ესახებათ.

მარჯვენა მკლავზე ღვთის ნაბოძები დიდი ხალი გაქვს — მზის ნიშანი. შენი გვარი მზის თესლისაა. სანამ მზე იარსებებს შენც იქნები.

მოხუცმა რიომ სანთელი გამომიწოდა და თან მითხრა: — გამომართვი ეს სანთელი. ეს იქნება შენი სამარადისო ცხოვრების სიმბოლო.

მე სანთელი ჩამოვართვი. მოხუცმა რიომ უკანასკნელად მითხრა:

— დაე, მუდამ იყოს მზე! — და იგი თავის ამალასთან ერთად ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

მე კარგა ხანს მივჩერებოდი იმ ადგილს, სადაც მოხუცი თავის ამალით იდგა და მესაუბრებოდა. მივჩერებოდი და ვფიქრობდი, სიზმარი იყო ეს თუ მოჩვენება, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მე მაინც მიხაროდა, მიხაროდა, რადგან მისგან მოწოდებული სანთელი ხელში მეჭირა და თანაც მისი წყნარი, დაბალი ხმა მესმოდა:

— დაე, მუდამ იყოს მზე!.. და მზის შვილები! — ვამბობდი მეც.

ქუთაისი
1985-1995 წწ.

რეზიუმე

როგორც აღნიშნული ნაშრომიდან ჩანს, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში ბევრი რამ არის გასარკვევი და ახლებური ხედვით დასანახი. ვფიქრობთ, მკვლევართა აზრები ამ დარგში 180^0-ით უნდა შემობრუნდნენ და თანამედროვე პროგრესულ მოსაზრებებს უნდა დაექვემდებარონ.

დამთავრდა დრომოჭმული, მატერიალისტურ დოგმებში მოქცეული მსჯელობებისა და აქედან გამომდინარე მოსაზრებების დრო. მთელი მსოფლიოს მეცნიერები უნდა დაფიქრდნენ და ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იბერთა ცივილიზაციის გლობალური განთესვა მთელს ჩვენს პლანეტაზე უპირველესია და მას ანალოგი არ გააჩნია. სწორედ, აქედან უნდა დაიწყოს მსოფლიოს ცივილიზაციის დასაწყისის შესწავლა.

→ 3

2 ←

ჩვენ, უშიშრად უნდა ვაღიაროთ უძველეს დროში კლასიკური საბერძნეთის (პელაზგთა) არსებობა. ასევე უნდა გავმიჯნოთ იგი თანამედროვე ორდინალური საბერძნეთისაგან. უნდა განვასხვავოთ ამ ორი ხალხის წარმომავლობა, როგორც გენეტიკური, ასევე ეთნიკური თვალსაზრისით.

ასევე, ღრმა თხრილი უნდა გავავლოთ ინდოეთის უძველეს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის, ჰესპერიულ იბერებსა (უბაიდელები, დრავიდები) და შემდეგში აქ გადმოსახლებულ არიელებსა და ადგილობრივ ინდოელ ტომებს შორის. არიელებისა და ინდოეთის აბორიგენი ტომების არც ერთი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მოსაზრება არ უნდა ჩავთვალოთ მათი „შემოქმედებითი ნიჭის“ ნაყოფად. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ესენი, ყოველივე, იბერთა ნამოქმედარია.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე იბერთა ცივილიზაციის პირველი განთესვა და გაფურჩქვნა, მაიას, ინკებისა და აცტეკების კულტურების საყოველთაო აყვავება. რა შუაშია აქ ინდიელ აბორიგენთა „კულტურები“ და „ცივილიზაციები“.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ შუმერები, რომლებიც მსოფლიოს ცივილიზაციის შესაქმნელად არიან აღიარებულნი ამბობდნენ, რომ ისინი პირველი ცივილიზაციის შემქმნელები არ ყოფილან. იგი მათ მიიღეს და აითვისეს გამზადებული სახით იმ ხალხისაგან, რომლებიც გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ შუამდინარეთში იქ, სადაც ახლანდელი მაღლობი ელ-ობაიდი მდებარეობს. ისინი ამ მოსაზრებაში იბერებს (უბაიდელებს) გულისხმობდნენ. სწორედ ამის შესახებ მიუთითებს ცნობილი რუსი შუმეროლოგი, ანატოლი კიპიშინიც. იგი ამ ლეგენდარულ ერს, პროტოშუმერებამდელ ქართველებს უწოდებს.

ხოტუ მატუა, ეს ხომ იბერთა მოდგმის წარმომადგენელია, რომელიც ძნელბედობის ჟამს, თავისი გვარ-ტომით, მოვიდა აღდგომის კუნძულზე და საფუძველი ჩაუყარა ამ კუნძულის ცივილიზაციის დასაწყისს.

იბერთა შექმნილია, კუნძულზე არსებული, მაგარი ჯიშის ქვისაგან გამოთლილი, გიგანტური ქანდაკებები, რომლებიც მსოფლიოს საოცრებათა არსენალის მერვე სასწაულს წარმოადგენენ. ასევე მათი კვალი ატყვიათ კუნძულზე გავრცელებულ ბევრ ჩვევასა თუ რიტუალს. აქ, საუკუნეების განმავლობაში, ცხოვრობდნენ უძველესი ქართული ტომები, რომელთა გვარებიც იყო: მატუა, ვარივერები და ხარივერები და ბევრი სხვა და ბევრი სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის აღიარება იძლევა იმის საშუალებას, რომ მეცნიერებაში ახალი პროგრესული მოსაზრებები, რომლებიც დღემდე არსებულ მოსაზრებებს გადაიყვანენ ახალ რელსებზე და ამით მწვანე გზას გაუხსნიან იმ მიმართულებებს, რომელთა ახალი მისამართია — კოსმოსი.

გჯეროდეთ, ბატონებო, რომ ეს დროც დადგება!

რ. რ. ერისთავი

ასტროლოგიური ჰოროსკოპი

რაჭის ერისთავების შთამომავალი, რევაზ რაფიელის ძე, დაბადებულია 1934 წლის სექტემბრის თვეში, საქართველოში, ჩრდილო განედის 42^0-სა და აღმოსავლეთის გრძედის 42^0-ის კოორდინატების გადაკვეთაზე (ქ. ქუთაისი).

აღმოსავლური ჰოროსკოპით იგი დაბადებულია ძაღლის წელიწადში. ზოდიაქური ჰოროსკოპით — ქალწულის სექტორში. (ევკლიპტიკის 150^0-180^0). დრუიდების ჰოროსკოპით — ტირიფის ციკლში.

ქირომანტიის საფუძვლების მიხედვით აქვს „პრაქტიკული ხელი“. ეკუთვნის „სატურნის ტიპს“.

მისი სიმბოლოა მიწა, ბედის ვარსკვლავი — სპიკა, ბედნიერი დღე — ხუთშაბათი. ბედნიერი რიცხვი – 5 და რაც 5-ზე იყოფა. ავგაროზი — საფირონი, სიბრძნის სიმბოლო.

ამ ნიშნების ქვეშ დაბადებულნი ეტრფიან მზის სხივებს, მეტად მგრძნობიარენი არიან. აქვთ პრაქტიკული ჭკუა, ახასიათებთ რელიგიურობა, ლოგიკა, სიცხადე. მათში არსებობს ჭარბი ინტელექტი და ტემპერამენტი. აქვთ საოცარი წინათგრძნობა და მდიდარი წარმოსახვის უნარი. ახასიათებთ წესრიგისადმი დიდი მიდრეკილება.

ქირომანტიით, ამ პერიოდში დაბადებულნი არიან სიმაღლით საშუალოზე მაღალნი, ბეჭებში მოხრილნი, ფერმკრთალნი, მელანქოლიურნი, გამჭრიახნი და ჯიუტნი. დაჯილდოებულნი არიან მუსიკალური ნიჭით, აინტერესებთ ფილოსოფიური, მისტიკური და იდუმალებით მოცული მეცნიერების დარგები.

მათი ასტროლოგიური იდეოგრამაა:

მეცნიერება

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №33)

იბერიადა

„ბერ“-ის ეტიმოლოგია

„გერის“ სახეობაა აგრეთვე „ბერი“.

სვანეთში და მთის სამეგრელოში არსებობს ღვთაება „მამბერი“ — მგლების მეფე, რომელიც შემდგომში წმ. გიორგისთან გაიგივეს. „მამბერს“ მეგრულად, მეორენაირად ჰქვია „მაზარიგერი“.

ქართულში გვაქვს სიტყვები: „ხევისბერი“, „ბერ მუხა“, „ბერი“ — ქურუმი (სხვათა შორის აქადურ — ხალდეურადაც ქურუმი არის „ბერუ„), „ბერიკა“, „ბერკეტი“, „ბერხენი“, „დედაბერი“, „ბებერი“ და ამასთანავე „ბერბიჭა“ — „ბერე“ მეგრულ-ლაზურად ნიშნავს ახალშობილ ბიჭს. ი. ჯავახიშვილის ცნობით: „წმინდა გიორგისათვის შეთქმულ ბავშვებს, მთელ საქართველოში, „ბერს“ ეძახიან; წმინდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც „ხევისბერი“ ერქვა; მაშასადამე, ყველა, ვისაც კი წმინდა გიორგის სამსახურის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა.“ „ბერ“ — ფუძე შეიმჩნევა სიტყვა „ბუმბერაზში“, აგრეთვე სიტყვა „ბრგე“ ალბათ არის იგივე „ბერგე“. ერთ-ერთ ქართულ წარმართულ ღვთაებას ერქვა „ბერბერა“, იგივე „ბერი-ბერა“, მეგრულ ხალხურ თქმულებაში პრომეთე — ამირანს ჰქვია „ბერსკუა“ (ბერის შვილი). შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართულ მეტყველებაში სიტყვა „ბერი“ იხმარებოდა ქრისტიანი ღვთისმსახურის მნიშვნელობით, რის გამოც ის აღარ იხმარებოდა ცხოველური მგლის აღსანიშნავად.

თუმცა ენათმეცნიერთა აზრით, ეს სიტყვა „საერთოქართველურ“ დონეზე სწორედ მგლის მნიშვნელობით აღსდგება. ციხის მნიშვნელობით კი „ბერ“ ფუძეს უკავშირდება ქართული (ლაზური) სიტყვა „ბურ-ჯი“ — „ციხე-ბურჯი“ — „ბურ“ — „ბერ“ მონაცვლეობს, დაბოლოება „ჯი“ კი გვხვდება სარდინია — კორსიკაში შემორჩენილ ციხის აღმნიშვნელ სიტყვაში „ნურაჯი“. „ნურ“ — ძირი შესაძლოა „ბურ“ — ძირის სახეცვლილი ფორმა იყოს. მეგრულად „ჯიხა“ ნიშნავს ციხეს. „ჯი“-ზე ბოლოვდება ქართული ციხე-სიმაგრეები: „ხორნა — ბუჯი“, „ჭაქვინჯი“, „არტანუჯი“, „ციხეგოჯი“, „ჯიხანქუჯი“, „დობოჯი“ და ა. შ.

გვარები: „ბურჯანაძე“, „აბურჯანია“ და ა. შ. ხმელთაშუა ზღვაშიც არსებობს ციხე-კუნძული „ბურჯი“, რომლის აგებასაც არგოლიდებს მიაწერენ. საფრანგეთის გალეებით დასახლებულ ცენტრალურ რეგიონს ერქვა „ბერი(ა)“, რომლის მთავარ ციხე-სიმაგრეს ერქვა „ბურჯი“ (დღეს ჰქვია „ბურჟ(ე)“). მას ჩამოუდიოდა მდინარე „იევრე“, ციხე-ქალაქის მეფეს კი ერქვა „ვერცინგეტორიგი“ უფრო სწორედ „ბერცინგეტორიგი“ — ასონიშანი „V“ ადრე იკითხებოდა როგორც „ბ“, მოგვიანებით მას კითხულობდნენ აგრეთვე როგორც „ვ“-ს. ამდენად „იბერია“ გახდა „ივერია“.

ქალდეურ-არამეულად ციხეს ერქვა „ბერდა“ — „ბ“ რთუ“. საქართველოში გვაქვს ციხეები: „ბერდიკი“, „ბერციხე“, „კაბერი“, „ბერბუკი“, „კიკნაბერი“, „ბერშუეთი“, „თებერდა“, „ბაიბერდი“, „შატბერდის“ მონასტერი და „ალავერდი“, რომელსაც ირანელების შემოსევამდე „ალ(ა)ბერდი“ უნდა რქმეოდა — საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში, რომელიც დღეს სასომხეთის საზღვრებშია მოქცეული ჰქვია „ალავერდი“, სადაც დგას ციხე „ალბერდი“. ირანელები კი საქართველოს ეძახიან „გურჯისტანს“, რაც ნიშნავს მგლების ქვეყანას. ირანულად კასპიის ზღვას ერქვა „გურზემ“, ანუ ქართველთა ზღვა, ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს „ბერშილა“. აქედანაა კავკასიის ალბანეთის ძველი სახელი „ბერდა“. იქ მცხოვრებთ კი ერქვათ „ბერანები“ — შემოკლებით „რანები“. კახეთის უძველეს ცენტრს, ჩელეთს (ჟალეთს) ერქვა „ბერი“, რომელსაც საზღვრავდა მდინარე „ბერდუჯისი“.

ბიზანტიელი კონსტანტინე პორფიროგენეტის აზრით, „იბერიელები“ არიან შთამომავალნი ჰური ხეთელის მეუღლის „ბერსავიასი“. საქართველოს ერთ-ერთი სახელი „იბერია“, რა თქმა უნდა, მომდინარეობს „ბერ“ — ფუძიდან. მართალია, „იბირ“ მეგრულად „იმღერეს“ ნიშნავს, მაგრამ არა მგონია „იმღერია“ დაერქმიათ ქვეყნისთვის. თავად სიტყვა „ბირაც“ (სიმღერა) მგლის სახელს „ბერს“ უნდა უკავშირდებოდეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერა მართლაც მგლების ყმუილივით იქნებოდა თავისი განვითარების საწყის ეტაპზე და თან მგლის საკულტო რიტუალთანაც იქნებოდა დაკავშირებული. „ბერთაანა“ დაკავშირებული მეგრული „კიბირიც“ — კბილი. „იბერის“ ავტოქტონური ფორმა იქნებოდა „ტიბერია“, რომელიც სხვა სახელწოდებათა პარალელურად ეწოდებოდა ქართველთა სამკვიდროს, მაგრამ როცა რომმა მითრიდატე პონტოელი დაამარცხა და სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთ საქართველო დაივასალა, მის სახელად „ლაზიკა“ დაამკვიდრა, ხოლო სახელწოდება „იბერია“, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შემორჩა, რომელიც თავის მხრივ ირანმა დაივასალა, მაგრამ იბერიული მოდგმა დასავლეთშიც, სამხრეთშიც, აღმოსავლეთშიც და ჩრდილოეთშიც ყოველთვის განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისთვის.

ჩრდილოკავკასიურ ენებში მგელს ჰქვია „ბ(ე)რს“ — „ბორძ„ — „ბარწ“. ნახურად მთა „იალბუზს“ — „ელბრუსი“ ჰქვია — „ელბარს“ („ელიაბარს“) ანუ „მგელღმერთი“. „ელ“ („ელია“) ნიშნავს ღმერთს, „ბარს“ მგელს. სომხურად კი ეწოდება „ალბერისი“. ძველ ირანულად ირანის „ელბრუსს“ და კავკასიის „ელბრუსს“ ყოველთვის ერთნაირად მოიხსენიებდნენ, მაგალითად: „აი-ტიბერეს“ (თუ „აი-ტიბარეს“?) და აგრეთვე „ალ-ბორჯი“. სვანურ-ქაშაგურად „ია-ლბუზის“ ერთ-ერთი სახელია „იაშხა“. ამდენად „იალბუზის“ უძველეს სახელად შეგვიძლია ვივარაუდოთ „ელია-ბერისი“ და „აია-ტიბერისი“.

ზოგი პალეონტოლოგი მიიჩნევს, რომ პრიმატების შთამომავლები არიან არამხოლოდ „ომინიდები“, არამედ „კანოიდებიც“ (მგელი, დათვი, ტურა, აფთარი). ანუ „პროტომგელი“ იყო მტაცებელი მაიმუნი და ამ მგელმაიმუნისგან წარმოიშვა ადამიანების ერთი შტო. ამის გამოძახილია ის, რომ ადამიანი ზოგჯერ აჩენს მგლისხახიან ბავშვს, ზოგჯერ მგლის თათებიანს და კუდიანსაც. ამასთანავე ადამიანის და მგლის გენომი მატარებელია ერთიდაიგივე გენეტიკური ავადმყოფობების (მაგალითად: ცოფი), მე ამ ვერსიას არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა, თუმცა ადამიანში ადამიანურის (ზეადამიანურის) გარდა არის ცხოველური საწყისიც.

აღსანიშნავია, რომ ადრე არსებობდა დღეს გადაშენებული გიგანტური მგლის ჯიში, რომელიც ჰგავდა დათვს და შესაძლოა სწორედ ამ ჯიშის მგელს ერქვა „ბერი“. სვანეთის გერბზე გამოხატულია ეს მგელ-დათვი. გიგანტური მგელი ნადირობდა მამონტებზე და მას შეეძლო დაეგლიჯა ლომიცა და ვეფხვიც.

გერმანულადაც „ბერ“ დათვს ნიშნავს, ძველად კი მგლის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა — ეს სიტყვა დოიჩებმა სავარაუდოდ კელტებისგან გადაიღეს. გერმანიის დედაქალაქს ჰქვია „ბერლინი“. „ბურგ“ კი გერმანულად ციხეს ნიშნავდა, დღეს ქალაქსაც ნიშნავს — მეორენაირად „ბერგ“, რაც ნაწარმოებია ციხის აღმნიშვნელი ტევტონური სიტყვიდან „ბერდინ“. ჩრდილო იტალიაში „გერმანების“ (არა დოიჩების) მიერ დაარსებულ ქალაქს ჰქვია „ბერგამო“. სამხრეთ იტალიაში კი მდინარე ტევერეს, რომელიც ორად ყოფს იტალიის დედაქალაქ რომს, ადრე ერქვა ეტრუსკული სახელი „ტიბერი“. შიგნით მდინარეში კი არის კუნძული „ტიბერინა“, რომელზეც ეტრუსკებმა დაარსეს ქალაქი რომი და უწოდეს „ტიბერისი“. ჩემი აზრით, თბილისის უძველესი სახელიც „ტიბერისი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც დააარსეს ქართულმა ტომებმა „ტიბარენებმა“, იგივე „ტიბერანებმა“ — სემიტურად „თუბალ“ — „თობელი“, აქადურად „სუბარი“. იტალიას აგრეთვე ეწოდებოდა „ჰესპერია“ — „ესპერია“. ანალოგიური სახელი ერქვა ქალაქ „სპერს“ — „სიპარს“ სამხრეთ საქართველოში და ესპანეთსაც. აგრეთვე შუამდინარეთის ერთ ქალაქს ერქვა „სიპარი“. „სპერს“ ზოგი მეცნიერი ეტიმოლოგიურად „იბერს“ უკავშირებს, თუმცა შეიძლება ეს „ფალ“ — ფუძეს უკავშირდებოდეს. ესპანეთის დედაქალაქ მადრიდს ერქვა „მაგერიტი“, რომელიც დააარსა მდინარე „ტიბრის“ ღვთაება „ტიბერინას“ ვაჟმა ოკნიმ. დაბოლოება „თი“, იგივე „ტი“, გვხვდება ქართულ გვარებშიც და ტოპონიმებშიც, ადრე, როგორც ჩანს, ეს დაბოლოება სიტყვის წინ იდგა, ამდენად ძველი ფორმა „ტიბერი“ ახლებურად იქნება „ბერიტი“. ასევე დაბოლოება „ურ“, ადრე, რომელიც ქართულად სადა-ურ-ობას აღნიშნავს, თავსართი ყოფილა, მაგალითად: „ურ-არტუ“ — ახლებურად იქნება „არტუ-ურ-ი“, „არტუ“ კი შუმერთათვის ლეგენდარული ქვეყანა „არათა“ — „ართა“ უნდა იყოს, მისი თავფორმა კი შემორჩენილია ქართულ ტოპონიმებში: „ართვინი“, „არტაანი“, „არტანუჯი“, და ა. შ.

ესპანეთს ადრე ერქვა „იბერია“. ბასკეთის ერთ-ერთი სახელი „ბისკაია“ ადრე იქნებოდა „ბერსკუაია“ — ანუ „ბერის სკუების (შვილების) აია“. ბასკეთის ერთ ქალაქს ჰქვია „ბერმეო“. აქვეა რეგიონები „ბერონესი“, „ზუბეროა“, „ბერაკონი“ და ა. შ. ქალაქ „ბარსელონას“ სავარაუდოდ ერქვა „ბერსელონა“. მდინარე „ებროს“ ისტორიული სახელია „იბერუსი“. გალურ-ბასკური წარმოშობისაა სამხედრო ქუდი „ბერეტი“. ბასკურად, თხის ტყავით შემოსილ ტრუბადურს ერქვა „ბერცოლარსი“, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ოჩოიგასაც, რაც ნიშნავს მგელკაცას. მეგრულად ტყის ღვთაებას ჰქვია ოჩოკოჩი — „კოჩი“ მეგრულად არის კაცი. ბასკური გეორგიანული ენაა, თუმცა მომთაბარე ბერძნების და სხვა ინდოევროთათრული ტომების შემოჭრის შემდეგ ხმელთაშუაზღვის აუზში და წინააზიაში პალეომედიტერანული, ანუ გეორგიანული რასის ერთობა დაირღვა. ამდენად ბასკური ენა გეორგიანულ ფესვებს მოწყდა. თანაც, ბასკები, სამწუხაროდ, ვერ ახერხებდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მათ ენაზე დამპყრობელთა ენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს. საქართველოში კი მეგრულმა და სვანურმა ენებმა ნაკლები ცვლილებები განიცადა.

ჩრდილოეთის დიდი დამპყრობელი იულიუს ცეზარი პიქტებს (ბრიტანეთის

→ 4

3 ←

პირველ მოსახლეებს) იბერიელთა შთამომავლებად მოიხსენიებს. „ბრიტანეთის“ კელტებს ერქვათ „ბრეტანები“. მთელ ბრიტანეთს კი ერქვა „ჰიბერნია“, ქალაქებით „აბერდინი“ და „ქამბერა“. პიქტური მდინარეების სახელებია: „ებერა“, „ქაიბერი“, იგივე „ხაბური“ — მდინარე ამ სახელწოდებით არსებობდა შუამდინარეთშიც, რომელიც გამოდიოდა „მარის“ სამეფოდან და უერთდებოდა ევფრატს. ამ სამეფოს მეფე იყო ლაგაში ერიდუ (გ) — (ერის დუდი?). „ერი“ შუმერულად, ისევე როგორც ქართულში, ნიშნავს ხალხსაც და ჯარსაც. შესაძლოა სწორედ მდინარე „ხაბურიდან“ ამოიტანეს მეფე არტურის ხმალი ექსქალიბური. „ექსის“ ლათინურად ხმალს ნიშნავს — მეგრულად „ხამუ“. დღეს ჩრდილოეთ ბრიტანეთის ერთ დიდ რეგიონს ჰქვია „ბერის“ რეგიონი ამავე სახელწოდების ქალაქით, რომელსაც ჩამოუდის მდინარე „ირველი“. ძველ ინგლისურ ენაზე „ბერ“ ნიშნავდა ციხეს, რაც ალბათ პიქტ — იბერიულიდან აქვთ აღებული ინგლისელებს.

შვეიცარიის დედაქალაქს ჰქვია „ბერნი“. თავად შვეიცარიას ეწოდებოდა „ჰელვეტია“, ანუ „გელვეთია“, რომელიც დასახლებული იყო გალური ტომებით.

ქალაქ „ბრესტს“ ერქვა „ბერესტ“. „ბერ“ — ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე „ბელგიაც“, რომელსაც ადრე ერქვა „გუბერნია“ და შესაძლოა ქალაქი „ბრიუსელიც“.

ღვთაება ოდინის მეომრებს ერქვათ „ბერსერკები“, რომელთაც ამასთანავე ეწოდებოდათ ოდინის მგლები.

დაკებს ადრე ერქვათ „გეთები“, მათ ქალაქს კი „ბერებისთა“, რაც ასევე ერქვა მათ მეფეს.

მაკედონიას ასევე ერქვა „ბერმეა“, ქალაქებით: „ბერგა“ და „ბერეა“.

შუასაუკუნეების ევროპულ ლეგენდებში არსებობდა მგელკაცი, რომლის სახელის ვარიაციებია: „ვერ-ვულფ“, „გარ-ვალფ“, „ბეო-ვულფ“, „გერ-ულფოს“, „ლუ-გარუ“, დრაკულა (ვლახეთში — რაც ნიშნავს სამგლეთს) და ფრანკენშტეინი.

„ბერ“ — ძირს უკავშირდება ღვთაება „ბელიც“, რომლის ქურუმსაც ერქვა „ბეროსა“. „ბელს“ შემოკლებით ეძახდნენ „ელს“, ესე იგი, ის იყოფოდა „ბ“ და „ელ“ ძირებად, მას ფილისტინურად ერქვა „ბეელ-ზებულ“. ამდენად, ღვთაება „ბელი“ შეგვიძლია „ბერის“ გასემიტურებულ ფორმად და „ბერ-ელ“ — ფორმის შემოკლებად მივიჩნიოთ. „ბელს“ აგრეთვე ეძახდნენ „ბაალს“ და „ბერითს“. ძველ წყაროებში: „იობელის“ შთამომავალი „თობელები“ არიან, იგივე „იბერები“ — ამ შემთხვევაშიც „ბელ“ — „ბერ“ მონაცვლეობა სახეზეა. ქალაქ „ბაბილონს“ აგრეთვე ერქვა „ბაბელი“ — ასე ჰქვია სვანეთში ერთ სოფელს — „ბა“ აქადურად მამას ნიშნავდა, მეგრულად „ბაბა“ — „ბაბაიას“, აქედანვეა „ბაბუა“. „ბაბილონს“ აგრეთვე ერქვა „ერიდუც“. ხათურ — ხურიტული ღვთაება „არმას“ აგრეთვე ერქვა „ბერი“ და ხან „ბელიც“. ჩემი აზრით, ეს „არმა“ იგივეა, რაც „არესი“, „არმაზი“, „მ-არსი“, „ასტარი“, „ათართე“, „ტ-აროინი“ და ა. შ. ამასთანავე საყურადღებოა ისიც რომ ღვთაება „ბელი“, იგივეა, რაც „მარ-დუქი“ და „ა-მარ-უტუ“ — უტუ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელი იყო, მეგრულად პრომეთე-ამირანს აგრეთვე ჰქვია „არამხ-უტუ“. ღვთაება „ბელს“ აგრეთვე უკავშირდება ეგვიპტის მგლისთავიანი ღვთაება „სეთი“ — სვანეთის მთავარ ქალაქს მესტიას ადრე რქმევია „სეთი“ (სამეგრელოში ბაბუაჩემის ბაბუის მამას ერქვა „სეთი“).

ახლო აღმოსავლეთშიც არსებობდა ქალაქები: „ბერმეა“, „ბერეა“, „ბერითი“ — „ბერუთა“ — დღევანდელი „ბეირუთი“. ქალაქ ალეპოს კი ერქვა „ბერია“. ამავე ახლო აღმოსავლეთის და ეგვიპტის რამდენიმე ქალაქს, მეფეს და დედოფალს ერქვა „ბერენიკა“ და „ბერსევია“.

იუდეველთა ქვეყანას ადრე ერქვა „ბეერშივა“, რომელიც, როგორც ჩანს, მოიცავდა გალილეა — პალესტინასაც, ხოლო მის მოსახლეობას ერქვა „ბერიმ“. „გალილეაში“ არსებობს „ტიბერიადის“ ტბა, იგივე „ტივერიადდის“ ტბა, იგივე „გენისარეთის“ ტბა და მისი მიმდებარე „გერჩეიას“ მხარე, იგივე „გერგესიას“ მხარე, რომელთანაც განდევნა ქაჯების ლეგიონი უფალმა იესო ქრისტემ. ქრისტე ებრაელებში ქადაგებდა არამეულად, რომელიც ქალდეველთა შექმნილ ენად მიიჩნევა და ეს არამეული მაშინ საერთაშორისო ენა იყო. მცხეთური დამწერლობა კი არამეული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა. მეცნიერების აზრით, ქალდეველები, ხალდები და ხალიბები (ერთ-ერთი გეორგიანული ტომი) ერთი და იგივეა. ელამელთა და ურარტუელთა თვითსახელი იყო „ხალდები“, ხოლო მათ უმაღლეს ღვთაებას ერქვა „ხალდი“. სვანეთში არის სოფელი „ხალდე“, ქართლში კი სოფელი „ქალდეა“. ლაზებს ამასთანავე ერქვათ „ხალდები“. ქრისტე იყო პალესტინელი ფილისტინი, ანუ პელაზგი (კოლხი) და მისი მშობლიური ენა განსხვავებული იყო ლევიტანურებრაულისგან, ამიტომაც საუბრობდა ის ებრაელებთან არამეულად (საერთაშორისო ენაზე).

პელაზგთა შთამომავლებს ქართულად ერქვათ „ბერძენები“, ანუ „ბერის ძენი“. ძველბერძნულ მითოლოგიაში კი არსებობს ჩრდილოეთის ლეგენდარული ქვეყანა „ჰიპერბორეა“, რომელიც ჩემში იბერიასთან ასოცირდება.

ბაკურ მორგოშია

(გაგრძელება იქნება)

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ



ნინო ბაგრატიონ-დადიანი

ლევან V დადიანი

ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე დადიანი დრამატურგი, სამეგრელოს სამთავრო კარის მსაჯულთუხუცესი, სარდალ-მოურავი ოდიშ-ლეჩხუმისა, სოფელ ჭკადუაშში (ზუგდიდის რ-ნი) 1764 წელს დაიბადა, სამეგრელოს თავადის გიორგი დადიანისა და მარიამ აბაშიძის ოჯახში. გიორგი დადიანი გახლდა ოდიშის მთავრის გრიგოლ მანუჩარის ძე დადიანის (1789-1804) საიმედო მრჩეველი, 1788 წლის რუხის ომის გმირი, რომელსაც ქართველმა პოეტმა ბესიკ გაბაშვილმა ქება უძღვნა თავის შესანიშნავ პოემაში „რუხის ბრძოლა“.

ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი სწავლა-განათლებას მარტვილის მონასტერში ეზიარა. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიამ, ქართულმა საეკლესიო მწერლობამ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურმა რწმენამ. გარდა ქართული ენისა ფლობდა აფხაზურ, რუსულ და თურქულ ენებს.

ნიკო დადიანი, როგორც უაღრესად განათლებული პიროვნება, თანადგომასა და დახმარებას უწევდა ოდიშის მთავარს გრიგოლ დადიანს (1789-1804). ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ და ოდიშის ტახტის მემკვიდრის, ლევან გრიგოლის ძე დადიანის (1811-1846) სრულწლოვნებამდე, სამთავროს ფაქტიურად მართავდა ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი და გვერდში ედგა ოდიშის დედოფალს, გრიგოლ დადიანის ქვრივს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასულს ნინო ბაგრატიონ-დადიანს (1789-1811).

1804 წელს ნინო დედოფალმა სამთავრო კარზე მრჩეველთა საბჭო დანიშნა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი, მიტროპოლიტი ბესარიონ ჭყონდიდელი (1789-1792; მეორე ხანა 1799-1828), სამთავრო სახლის სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბერი გელოვანი. იმავე 1804 წელს, მრჩეველთა საბჭომ ნინო დედოფლის გადაწყვეტილებით რუსეთის საიმპერატორო კარზე წარგზავნა დეპუტაცია ნიკოლოზ დადიანის, დეკანოზ იოანე სვიმონის ძე იოსელიანისა და თავად ბეჟან მანუჩარის ძე დადიანის შემადგენლობით. დეპუტაციას უნდა გადაეწყვიტა საკითხი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა, რუსეთისაგან ასევე ითხოვდა ადამიანთა ვაჭრობის აკრძალვას სამეგრელოში; რუსეთის იმპერატორმა დააკმაყოფილა სამეგრელოს დეპუტაციის მოთხოვნები.

დედოფალ ნინოს სურვილისამებრ, დეპუტაციამ რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ს მიართვა ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, იცოდა რა მეგრელთა დიდი რწმენა ამ სიწმინდისადმი, იმპერატორმა ხატი შეამკობინა ძვირფასი თვლებით და დაუბრუნა მათ; ამასთანავე გამოჰყო ორიათასი რუსული ჩერვონეცი და დაავალა მათ ვლაქერნის ხატის სახელზე ზუგდიდში, დადიანის სასახლის გვერდით აეშენებინათ ტაძარი და გარდაცვლილი მთავრის გრიგოლის პატივსაცემად ზუგდიდისთვის ეწოდებინათ „გრიგოლიოპოლო“ — „გრიგოლის ქალაქი“. სწორედ ნიკოლოზ დადიანის დამსახურებაა, დედოფალ ნინოსა და დეპუტაციის სხვა წევრებთან ერთად, ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სამეგრელოში დაბრუნება.

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კეთილგანწყობა გამოხატა იმითაც, რომ სამეგრელოს დეპუტაციის წევრები დაჯილდოვა, ხოლო 1804 წელს ნინო დედოფალს გამოუგზავნა მიმართვა: „უგანათლებულესო თავადინა ნინა გიორგის ასულო! მორთმეული ჩემდა სახელითა თქვენითა წარმოგზავნილთა თქვენ მიერ დეპუტატთაგან პოლკოვნიკის კნიაზ ნიკოლოზისა და პოდპოლკოვნიკის კნიაზ ბეჟან დადიანოვებისა წმინდაი ხატი ვლახერანის ღვთისმშობლისა უპატიოსნესითა სარტყელითა მისითა მივიღე მე კმაყოფილებითა, ვითარცა ნიშანი ჭეშმარიტისა ქვეშევრდომილებისა სახლისაგან თქვენისა და ყოველთა ერთა მეგრელიისათა ხატი ესე პატივითა მისვენებულ სასახლისა ეკლესიასა შინა და მომასვენებელსა მისსა დეკანოზ იოანე იოსელიანსა უბოძეთ ჩვენ ოქროს ჯვარი და კამილამერა გარნა ვინათგან უწყოდით ჩვენ, რომელ ერი მეგრელიისა ძველთაგანვე სცხოვრობდა წმიდისა ამის ხატისადმი ფ(რია)დ აღმატებულითა კეთილის წამის ყოფითა. მოვაქციე ესე თვისგან ნიჭად თქვენგან ყოველთა მეგრელიისა ერისადმი, მითამცა იქნეს ორთავე შორის წინდად და მოწამედ სამარადისო ჩემდა თქვენის ერთგულებისა და ჩემისა დაუტეველობისა საფარველისა. ხ(ოლ)ო ყოფად დაუვიწყებლობისა ესოდენ საამოისა წარმოებისა ჩემისათვის ვბრძანე მე აღშენებად ოდიშსა შინა ეკლესიათ მღთისა სახელისა ყ(ოვლა)დ წმიდისა ამის ლახერანისა ღვთისმშობელისა ადგილსა მას ზედა, რომელიცა თქვენ მიერ იქმნეს დანიშნულ და პირველ გზის უბრძანე ამისათვის ორიათასის ოქროს წარმოგზავნა და ამასთანავე მსურს მე, რათა სადაცა აღეშენოს საყდარი ესე, გარემოს მისსა აქუნდესთ ყოველთა დადიანებთა სასახლენი საცხოვრებლათ მათდა რომელთაცა დროსამებრ გამრავლდნენ მას შინა მცხოვრებნი და ძალ ედვას მას ყოფად ქალაქად, რომელსა ეწოდოს გრიგოლის ქალაქი, სახსენებლად სარწმუნო და საყვარელსა მეუღლისა შენისა თავადის გრიგოლ დადიანისათა ვგიებ სხვებრ თქვენდამი კეთილმიდრეკილებითა. ალექსანდრე ს. პეტერბურგი, 31 მაისი, 1806 წელი“.



კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. XVII ს.



ნიკო დადიანისეული წარწერა კორცხელის ტაძრის მარცხენა სვეტზე

ნიკო დადიანი დეპუტაციის სხვა წევრებთან ერთად ორი წელი დარჩა რუსეთის საიმპერატორო კარზე და სამეგრელოში 1806 წელს დაბრუნდა. დადიანთა სასახლის გვერდით, ზუგდიდში ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე ტაძარი მოგვიანებით, 1825-30 წ.წ. სამეგრელოს მთავრის ლევან V (1811-46) დადიანის დროს აშენდა.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ნიკო დადიანი კვლავ მრჩეველთა საბჭოშია და სამთავროს მსაჯულთუხუცესის თანამდებობას იკავებს. ასევე რჩებოდა ლევან დადიანის მეურვედ მის სრულწლოვნებამდე; დიდი ნიკოსადმი მტრულად განწყობილი ერთი ბანაკის დაპირისპირების შემდეგ, მსაჯულთუხუცესს დედოფალი ნინო ძლიერ გაუნაწყენდა და ეს წყენა დაპირისპირებაში გადაიზარდა; საბჭოს ეჭვი გაუჩნდა, რომ დედოფალი ნინო პოლიტიკურ ინტრიგებში გაეხვია, რასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა; 1808 წელს ნიკო დადიანმა ინტრიგნობისთვის ნინო დედოფლის ერთგული აზნაური გვარად გუგუშვილი დააჭერინა; ამით დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა და 1811 წლამდე გაგრძელდა; ამასობაში ლევან გრიგოლის ძე დადიანი სრულწლოვანი გახდა, ხოლო ამავე წელს ნინო ბაგრატიონ-დადიანი, როგორც საქართველოს სამეფო ოჯახის წევრი, რუსეთში გადაასახლეს; ბაგრატიონის ასული გარდაცვალებამდე ქალაქ რიაზანში ცხოვრობდა.

მას შემდეგ, რაც ნინო დედოფალმა სამეგრელო დატოვა, სამთავრო ტახტზე ლევან გრიგოლის ძე დადიანი ავიდა; მომავალი მთავრის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღოდა ნიკო დადიანს; თავისი აღმზრდელი მთავარმა ლევან V დადიანმა მრჩევლად დაიყენა; ნიკო დადიანი ერთგულად ემსახურა სამეგრელოს სამთავრო კარს; ის მუდმივ ზრუნვაში იყო სამეგრელო „კეთილად“ წარემართა ლევან გრიგოლის ძეს.

ნიკო დადიანმა დიდი შრომა გასწია აფხაზებისა და სვანების გაქრისტიანებაში. ლევან V დადიანისა და სამეგრელოს მიტროპოლიტ ბესარიონ ჭყონდიდელის დავალებით ნიკო დადიანმა მოიარა აფხაზეთი, სვანეთი; ამ საქმეში ჭყონდიდელს სჭირდებოდა „ყველასათვის მისაღები ადამიანი“ და ისეთი კაცი ვისი მოწიწება და პატივისცემა ექნებოდათ“. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი. მას ხალხმა განსაკუთრებული სიყვარულით, სამეგრელოს სამთავროსა და მეგრელთა წინაშე დიდი დამსახურებისთვის „დიდი ნიკო“ უწოდა.

დიდი ნიკო სამეგრელოში იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების განახლება-აღდგენაზე; მან 1815 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი (ფილიალი) კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია განაახლა, შემდეგი წარწერით: „1) ყოვლად შეუმკობელისა და დარღვეულისა ეკლესიისა ამის 2) განმახლებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლაᲲ 3) დადიანი. გუჯრებ აღმომკითხველთა შეწყალება ჩემი ღვთისა

→ 5

4 ←

მიერ ით 4) ხოვოთ რათა თქუ‍ნცა შეგიწყალოსთ ქრისტემან 5) 1816 ჩყიე წელსა ივნისის 12-ის“.

1824 წლის 4 ივნისს ნიკო დადიანმა სოფელ ჭკადუაშში საფუძველი ჩაუყარა მთავარანგელოზთა ეკლესიის მშენებლობას, რომელიც საეკლესიო საბუთებში მოიხსენიება ჭკადუაშისა და ახალდაბის სახელით; ტაძრის მშენებლობა 1833 წელს დაუსრულებიათ, ხოლო 1922 წელს ანტირელიგიური რეჟიმის დროს ეს ეკლესია დაანგრიეს.

განსაკუთრებით საინტერესოა, დიდი ნიკო დადიანის ლიტერატურული შემოქმედება. იმ დროისთვის უაღრესად განათლებული პიროვნება გახლდათ და ეს აისახა მის ლიტერატურულ-ისტორიულ შემოქმედებაში. 1818 წელს დიდმა ნიკომ შექმნა კანონთა კრებული სამთავროს წესდებულებისა და სამთავრო განკარგვისათვის, რომელსაც „დასტურლამა“ უწოდა. სამთავროს მართვის პრინციპები ოფიციალურად პირველად ჩამოყალიბდა „დასტურლამაში“. დიდმა ნიკომ ჩამოაყალიბა მთავრის უფლებამოვალეობანი, რაც აუცილებელ პირობად მიაჩნდა თავისი აღზრდილისათვის სამთავრო საქმეების „კეთილად წარმართვაში“ .

1823-24 წ.წ. ნიკო დადიანმა დაწერა „ქართველთ ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია საქართველოს ისტორია დასაბამიდან 1744 წლამდე და ისტორია სამთავროთა შესახებ 1820 წლამდე. ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“-ში რეალურად აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული; წიგნში ნიკო დადიანი სამეგრელოს ისტორიის პირველწყაროებს ეყრდნობოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირველი ნაწილი, დაკარგულია.

დიდი ნიკოს შემოქმედებაში გამოირჩევა ქადაგება მარხვისა, სინანულისა, მოწყალებისა, შურისა და „წესისათვის ბერებისა“ და უწოდა „ქადაგება ყოვლად ნეტარისა კაცისა ნიკო დადიანოვისა“, 1826 წელს ნიკო დადიანმა ჭყონდიდელ ეპისკოპოსის გიორგი კუხალაშვილის თხოვნით შექმნა. მოგვიანებით დიდი ნიკო თავის მოძღვარს წერდა: „გეთხოვა ჩემთვის, რათა შევთხზა მე რაოდენნიმე სწავლითა ქადაგებანი წარსაკითხველად თქვენთა ხელქვეშეთა საზოგადოებისათვის“.

პოლიტიკურ და ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად დიდი ნიკო გამორჩეული სამხედრო პიროვნება გახლდა, იყო რუსეთ-თურქეთის ომში (1828-1829) არმიის მთავარსარდალი; მონაწილეობა მიუღია ფოთისა და მუხა-ესტატეს ბრძოლებში, მას გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა და დაჯილდოვებული იყო წმინდა ანას პირველი ხარისხის კავალერიის ორდენით.

რაც შეეხება ნიკო დადიანის ოჯახს, მისი პირველი მეუღლე გახლდათ გურიის ერისთავის ასული მარიამი, მათ ერთი შვილი ჰყავდათ გიორგი; მარიამ გურიელი ადრე გარდაიცვალა. ექ. თაყაიშვილს კორცხელში უნახავს „მარხვანი“, რომელიც ნიკო დადიანს თავისი გარდაცვლილი მეუღლის სულის საოხად შეუწირავს ტაძრისთვის: „ერთს დაბეჭდილს მარხვანზედ წარწერა უჩვენებს, რომ ის შეუწირავს ნიკოლაᲂ დადიანს 1817 წელს თავის მეუღლის ერისთავის ასულის მარიამის სულის მოსახსენიებლად“.

ნიკო დადიანი მეორედ დაქორწინდა, მისი მეუღლე გახდა აფხაზი თავადის სალარეუფუ მარშანიას ასული ეკატერინე; მათ ექვსი შვილი ჰყავდათ: ბესარიონი, პეტრე, პავლე, ალექსანდრე, ეკატერინე, და კესარია. სამეგრელოში ნიკო დადიანის ძეებს „ჭეშმარიტ ჭკადუაშელებს“ უწოდებდნენ. მამის, გიორგი დადიანის გარდაცვალების შემდეგ, დიდ ნიკოს მემკვიდრეობით მამულები ერგო ნოჯიხევში, ნოღაში სასახლე პალატითა და ციხე-სიმაგრით, საზაფხულო რეზიდენცია კურზუში, საზამთრო რეზიდენცია რიყეში. ნიკო დადიანის გარდაცვალების შემდეგ ეს მამულები მის შვილებს გადაეცათ.

სიცოხლის ბოლო წლებში ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი ჭკადუაშში ცხოვრობდა, გარდაიცვალა 1834 წელს. დიდი ნიკო დაკრძალულია მარტვილის დადიანების საგვარეულო ტაძარში.

ფერიდე აფაქიძე,
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული
მუზეუმის ფონდის მცველი

მარადისობის ბინადარი



როცა განვლილი ეამაყება

ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის მრისხანე დღეები ახსოვს ობუჯელ გუძია კაკაჩიას.

„ბავშვი ვიყავი, როცა რევოლუციონერები მგზნებარე სიტყვებით მოუნოდებდნენ ხალხს არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, — მიყვება ის — რამდენჯერ მინატრია, ნეტავ მეც დიდი ვიყო-მეთქი: შეუცნობლად მესმოდა, რაღაც კარგზე ლაპარაკობდნენ ისინი“.

რეაქციის შავმა ტალღებმა ობუჯშიც შემოაღწია. საკუთარ ტკივილად განიცდიდა სოფლის გასაჭირს.

გადიოდა სიდუხჭირით აღსავსე წლები.

— „1914 წლის გაზაფხული იდგა, — იგონებს გუძია კაკაჩია, — მამის რჩევით მწყემსობა დავიწყე, ჯერ საამხანაგოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელი 5 წლის შემდეგ შუაზე მეყოფოდა. ძროხები ღანჩხუთის საძოვრებზე გვყავდა. ყველა საქმემ გატაცება იცის, თუ სიყვარულით მოეკიდე. შევეჩვიე მწყემსის ლამაზსა და ხიფათით აღსავსე ცხოვრებას. ფეხით მოვიარე მთელი გურია, სამეგრელო, იმერეთი და ჩრდილო კავკასია. მწყემსები თანავუგრძნობდით რევოლუციის ატეხილ ქარიშხალს. ხშირად ვიფარავდით მთავრობისაგან დევნილ რევოლუციონერებს. ასე შრომაში გადიოდა წლები. საქართველოს 1922 წელს დავუბრუნდი. მაშინ გლეხკაცი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ნელ-ნელა წელში იმართებოდა. ვეღარ ვუღალატე საყვარელ საქმეს. გავხდი 20-იან წლებში შექმნილი „მეჯოგეთა კავშირის“ წევრი. საქონელს ისევ გურიაში მივრეკავდით ხოლმე. ამავე წლებში ცხაკაიაში ჩამოვიდა მოჭიდავეთა ბრიგადა მოსკოვიდან, რომელსაც ქუთათელაძე ხელმძღვანელობდა. მის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონები: კანდელაკი, პადუბინი, ზაგაროვი, მედვედევი, მაშნასკი, ურალეცი, კახათელიძე, გოგლიძე და სხვები.

მაშინ პირველად ვცადე ბედი საჭიდაო სარბიელზე. ჩემი დებიუტი კახათელიძესთან შედგა. გამოცდილი მოჭიდავე თავს დებდა ჩემს დასამარცხებლად. მე მაინც არ შევუშინდი და 2 წუთსა და 21 წამის შემდეგ ის უკვე ბეჭებზე გართხმული იწვა მსაჯების წინ. პირველმა წარმატებამ ფრთები შემასხა. მას 1927 წელს ზუგდიდში უკრაინელ მოჭიდავეებთან გამარჯვება მოჰყვა და მე-2 კატეგორიის მოჭიდავე გავხდი. ჩემს მიერ დამარცხებულთა სია გრძელია — გაიღიმა მან — მათ შორის არიან სახელგანთქმული მოჭიდავეები: მედვედევი, მაშანსკი, ურალეცი, გოგლიძე, კაცია, სირაძე, გულუა, ბოგატიროვი, შოთა, შალიკო და ლადი ესებუები, ლიხაჩოვი და სხვები. რაც შეეხება უძლიერესს, კანდელაკს, მე მას მხოლოდ 4-5 წუთი ვუძლებდი, საქართველოში ეს დრო რეკორდი იყო მასთან გაძლებისა.

ისევ შრომაში გადიოდა წლები. მრისხანედ გათენდა 1941 წლის ზაფხულის დილა. წინ მოიწევდნენ ფაშისტი ურდოები.

გუძია კაკაჩია მაშინ 45 წლის ვაჟკაცი იყო. არ მოუთმინა გულმა და მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. 1942 წლის თებერვალში 2 დივიზია გაემგზავრა თელავიდან მოსკოვის მიმართულებით.

— „მთელი 22 დღე-ღამე მივდიოდით, — იგონებს გუძია — დღისით, ერთ ადგილზე ვიყავით გაჩერებულნი, რათა მტერს არ შევემჩნიეთ და არ დავებომბეთ. მე მოვხვდი „დაცვის განსაკუთრებულ ტექნიკურ ბატალიონში“, რომლის კომისარი ილია მაისურაძე იყო. ჩვენ 202-ე დივიზიას ვეკუთვნოდით. ჩვენი დივიზია კალინინის ოლქის მიმართულებით მიიწევდა წინ. გავიარეთ სმოლენსკი, ბრიანსკი, ვმონაწილეობდით ქ. რაჟევსკის ხიდის აღდგენაში, შემდეგ ვუბრუნდებით მოსკოვს და ვაწარმოებდით აღდგენით სამუშაოებს, მის გარეუბნებში. 1943 წლის ზამთარი იდგა. მდინარე მოსკოვის ნაპირებს ვწმენდდით ნანგრევებისაგან. მოულოდნელად დაიწყო დაბომბვა. ჩემთვის იგი მოულოდნელადვე შეწყდა. გონს ჰოსპიტალში მოვედი. მთელი დღე ყინულ-წყალში ვეგდე თურმე დაგლეჯილი ფეხით. ძვლის ანთება განმივითარდა და ჰოსპიტალში 6 თვე ვიწექი“.

გუძია დემობილიზაციაში მოხვდა, მაგრამ მამულის სიყვარულით ანთებული გულის კარნახით ისევ უბრუნდება მწყობრს. ის, როგორც საბრძოლოდ უვარგისი, მიყავთ ე.წ. „ხორც-დამამზადებელ-მომმარაგებელ ბრიგადაში“.

„ბრიგადას 600 მეწველი ძროხა ებარა — იგონებს გუძია — მე უნდა მეწარმოებინა წველა, მეკეთებინა ყველი, ხაჭო, უნდა შემერჩია დასაკლავი საქონელი“.

თავისი საქმის უზომოდ მოსიყვარულე რამდენიმე სიგელით, დიპლომითა და მედლით დააჯილდოვეს. ამ ბრიგადაში იზეიმა გამარჯვება გუძიამ. ვერ ელეოდნენ მუყაით მშრომელს უფროსები, მაგრამ მას გული საქართველოსაკენ, ტურფა მხარისაკენ ეწეოდა, ეძახოდა ადგილის დედა.

1946 წლის ცხელი ივლისის თვეს დაუბრუნდა გუძია მშობლიურ ობუჯს. უსაქმოდ რა გააჩერებდა ასეთ კაცს. ამავე წელს შედის მევენახეთა ბრიგადაში, რომელიც სულ 4 კაცისაგან შედგებოდა. სარეკორდო მოსავალი მიიღეს, 300 კოკა ღვინო 9 ჰექტარიდან და 9 ტონა სიმინდი.

გული არ უსვენებს გუძიას. საქმის სიყვარული ისევ ფერმაში აბრუნებს მას.

1958-59 წლებში კიდევ ერთხელ გააკვირვა ხალხი 61 წლის ჭარმაგმა კაცმა. 9 ტონა სიმინდი და 20 ტონა თივა ჩააბარა კოლმეურნეობას.

ბედნიერი მამა და ბაბუაა გუძია კაკაჩია. მას 10 შვილი, 24 შვილიშვილი და 9 შვილიშვილის შვილი ჰყავს. სამშობლომ და პარტიამ არ დაივიწყა ეს მხნე კაცი, მისი სახელი უკვდავყოფილია. რაიონში არსებობს გუძია კაკაჩიას სახელობის თასი ჭიდაობაში მოზარდთა შორის.

როცა გუძიას სახლის კარს შეაღებ, მხიარულად შემოგღიმებს ეს 82 წლის ბერიკაცი, რომელსაც სამშობლოს სიყვარულით უცემს გული და ამაყობს თავისი შემართებითა და წარსულით.

მანანა კაკაჩია.
„კომუნიზმის დროშით“,
29 აგვისტო, 1978 წ. №99

გავიხსენოთ, ვინც მამული დაგვიმშვენა

კაცურკაცობის მადლით მოსილი

უბრალო, კაცური კაცი იყო, ისეთი, რომელიც მუდამ იქ გამოჩნდებოდა, სადაც საქმე მოითხოვდა. საოცრად ტკბილმოსაუბრე გახლდათ, ტიპიური მეგრელი გლეხი — მაღალი, მხარბეჭიანი, თეთრი თმა-წვერით, უზადო კბილებითა და საოცრად ჭკვიანი თვალებით, რომელთა გარშემო ჩაწოლილი ნაოჭები ღაღადებდნენ იმ დღეთა სიმძიმეზე, მათ პატრონს რომ გადაეტანა. ასეთად შემორჩა სოფლის მეხსიერებას გუძია კაკაჩია.

გუძია სოფლის ცოცხალი მატიანე იყო. ახსოვდა 1905-1907 წლების რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები, არალეგალური კრებები. ლ. ქიაჩელის ლევანის, ტარიელისა და ბაჩუას პროტოტიპები.

1914 წლიდან ჭაბუკი შრომით საქმიანობას შეუდგა. ხიფათიანი და რომანტიკული პროფესია — მწყემსობა აირჩია. საოცარი ძალ-ღონე ჰქონდა და ამან გააბედვინა, 1922 წელს ცხაკაიაში, მოსკოვიდან ჩამოსულ მოჭიდავეებთან შებმა. პირველივე ცდა წარმატებით დაგვირგვინდა — კახათელიძესთან შეხვედრა 2 წუთსა და 21 წამში მოიგო. 1927 წელს ზუგდიდში უკრაინელ მოჭიდავეებთან გამარჯვებით მან დიდი სახელი მოიპოვა. გუძიას მიერ დამარცხებულ ფალავანთა სია საკმაოდ გრძელია: მედვედევი, მოშანსკი, ურალესი, გოგლიძე, კაცია, სირაძე, კახათელიძე, გულუა, ბოგატიროვი, შოთა, ლადი და შალვა ესებუები...

მანვე დაამყარა რეკორდი ლეგენდარულ კანდელაკთან შებმის ხანგრძლივობისა — 5 წუთი.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე მოხალისედ წავიდა. მოსკოვთან მძიმედ დაიჭრა, განკურნების შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა. 1946წელს დაბრუნდა ობუჯში. მუშაობდა საკოლმეურნეო ყანებში, ფერმაში და ყველგან მოწინავე იყო.

1958-59 წლებში 61 წლის კაცმა კვლავ დაამყარა რეკორდები, ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებზე — 9 ტონა სიმინდი და 20 ტონა თივა შეჰმატა საკოლმეურნეო ბარაქას.

ვალმოხდილი წავიდა ქვეყნიდან. ნათელ ხსოვნასთან ერთად სამშობლოს 10 შვილი, 25 შვილიშვილი და 12 შვილიშვილის შვილი დაუტოვა.

გუძია ყველას უყვარდა, მისსავე სიცოცხლეში დაწესდა გუძია კაკაჩიას სახელობის პრიზი ჭიდაობაში მოზარდთა შორის. სამწუხაროდ, ეს პრიზი იშვიათად თამაშდება ბოლო ხანებში.

ობუჯსა და მთელს რაიონში სპორტის ამ სახეობის გააქტიურება უკვდავყოფს კაცური კაცის ხსოვნას.

მანანა კაკაჩია
„კომუნიზმის დროშით“, №97, 1985 წ.

არავინ და არაფერია დავიწყებული

მწარე მოგონება

ობუჯში ყველა იცნობდა გუძია კაკაჩიას, როგორც ნამდვილ კაცურ კაცს, ვაჟკაცური სულის ადამიანს, მრავალშვილიანი ოჯახის ბურჯს, ცნობილ არაპროფესიონალ მოჭიდავეს, სამამულო ომის მონაწილეს.

ომმა თითქმის არც ერთი ქართული ოჯახი არ დატოვა ისე, რომ თავისი სუსხიანი კვალი არ დაამჩნია მას. ომის სუსხი მკაცრად შეეხო გუძიას ოჯახსაც.

1939 წელს შექმნა ოჯახი უკრაინელ დაშა ცვირნუკოვასთან ერთად. ხარობდა ახალგაზრდა ოჯახი. 1940 წელს ვაჟის შეძენა იზეიმეს, 42-ის იანვარში ქალიშვილისა, თებერვალში კი გუძია მოხალისედ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. დარჩა 22 წლის ყვავილივით ნაზი უკრაინელი ქალი მარტო, ორ ჩვილ ბავშვზე ზრუნვასთან ერთად მის მხრებს დააწვა ოჯახის ტვირთი, დარდი ომში წასულ მეუღლეზე, ოკუპირებულ სამშობლო მხარეზე, დაკარგულ ახლობლებზე. შეუსვენებლივ შრომაში გადიოდნენ დღეები. მძიმე შრომას შეუჩვეველმა ორგანიზზმა ვერ გაუძლო ასეთ დატვირთვას, გაცივდა და 1942 წლის აგვისტოში გარდაიცვალა.

გუძიამ ფრონტზე გაიგო ოჯახური უბედურება. გაორკეცებულად იძიებდა შურს. ომის დამთავრების შემდეგ აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობდა და მხოლოდ 1946 წლის ბოლოს ცოლიანად დაუბრუნდა საქართველოს. დედინაცვალმა ღვიძლი შვილებივით აღზარდა ობლები.

ომის შემდეგ ეძებდნენ დაშას დედა და და-ძმები. იმ არნახულ ჯოჯოხეთში მათ მისამართი დაკარგვოდათ და მიუხედავად არაერთგზის ცდისა, ვეღარ მიაგნეს მის კვალს, მაგრამ იმედი არ გაუწყვეტიათ და მხოლოდ 40 წლის შემდეგ შეძლეს დაკარგული დისშვილების პოვნა. განუზომელი იყო შვილდაკარგული ბებიას და დედულეთნა-პოვნი შვილიშვილების შეხვედრით გამოწვეული სიხარული.

დღეს მხოლოდ ერთი უსაზღვრო ნატვრა აქვთ მათ. დაე, ნურასდროს განმეორდეს ომის საშინელება, ნურასდროს მოგვშლოდეს მშვიდობიანი ზეცა.

მ. ობუჯელი.
„ეგრისი“, №56, 1990 წ.

შოთა რუსთაველი — 850



რუსთაველი ცხოვრობდა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანაში, როცა მწერლობა, ხელოვნება, ფილოსოფია უაღრესად იყო განვითარებული. მიუხედავად ამისა, ცნობები რუსთველის შესახებ ცოტა შემონახულა. ამის მეზეზია, ჯერ ერთი ის, რომ რუსთაველის ეპოქის შემდეგ საქართველომ მრავალჯერ განიცადა უცხო ტომთა შემოსევა, ანიოკება-აოხრება, რაც იწვევდა კულტურის ძეგლთა განადგურებას. უნდა ვიფიქროთ, რომ დაიკარგა ის ძეგლებიც, რომლებშიაც იქნებოდა რუსთაველის ცხოვრების ამსახველი ცნობები. მეორე, როგორც ცნობილია, რუსთაველის პოემას დიდხანს დევნიდა საზოგადოების რეაქციული ნაწილი, განსაკუთრებით სამღვდელოება. ამის გამოც იკარგებოდა ცნობები პოეტის პიროვნების შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. თამარ მეფის ისტორიკოსებიც კი არაფერს გვაუწყებენ მის შესახებ. ლიტერატურულ წყაროებში „რუსთველი“ მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. მაგალითად, XVI საუკუნის დასაწყისის ქართველი მწერალი სერაპიონ საბაშვილი იხსენებს რუსთველს, რომელმაც შეაქო ის, „ვინ სოფელი დააშვენა“ (იგულისხმება თამარ მეფე); XVI საუკუნეში გადმოთარგმნილი „იოსებ ზილიხანიანის“ შესავალშიც მოხსენიებულია რუსთველი, რომელმაც შეაქო თინათინი და ნესტან-დარეჯანი. „თუმცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა, ნესტან-დარეჯანს ბროლვარდსა, გიშრის მანითა სარავსა“, — ვკითხულობთ აღნიშნულ ნაწარმოებში.

პოეტი თვითონ გვაცნობს პოემის პროლოგში თავის თავს:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ სობილი“. და „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“.

პოემის ეპილოგი, რომელიც პოეტის მიმბაძველის ვინმე მესხი მელექსის, ნახელავად მიაჩნიათ, ერთგვარად ეხმიანება პროლოგს:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“.

სახელწოდება „რუსთველი“ უნდა ნიშნავდეს რუსთავის მკვიდრს, ან რუსთავის ციხე-ქალაქის მფლობელს. საქართველოში რამდენიმე რუსთავია ცნობილი. ამათგან ჩვენი პოეტის სახელს უკავშირდება ორი: რუსთავი მესხეთისა (ახალციხე-ასპინძის გზაზე, ახალციხიდან 20 კილომეტრის დაშორებით) და თბილისის რუსთავი (თანამედროვე რუსთავის ტერიტორიაზე). ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ რუსთველი იყო მესხეთის რუსთავიდან, რომელიც იმხანად კულტურის ძლიერი კერა იყო.

რუსთაველს რომ შოთა რქმევია, ამას გვიდასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე პოეტის ფრესკული გამოსახულების წარწერა: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“. ამავე მონასტრის საღვთისმსახურო წიგნში შეტანილია მოსახსენებელი „შოთაისი, მეჭურჭლეთუხუცესისაი“, რუსთველს განუახლებია და მოუხატვინებია ჯვრის მონასტერი. ამ დამსახურებისთვის მოგვიანებით დაუხატავთ შოთა რუსთაველი ორი დიდი საეკლესიო მოღვაწის — მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის — წინაშე მუხლმოდრეკილი.

რაკი შოთა რუსთავის მფლობელი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთველი უმაღლეს ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა და დაახლოებული იყო სამეფო კართან. მასში ჩანს სამეფო კარის ცხოვრების წესის ზედმიწევნითი ცოდნა. ზოგიერთი ცნობით, რუსთველი ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი. იგი იერუსალიმში გამგზავრებულა და იქ განუახლებია ქართველთა ჯვრის მონასტერი. ხალხური გადმოცემით, რუსთველი საბოლოოდ ჯვრის მონასტერში დამკვიდრდა და იქ გარდაიცვალა. იმჟამინდელი ტრადიციით რუსთველს შეეძლო მოხუცებულობის დროს შემდგარიყო ბერად, დამკვიდრებულიყო იერუსალიმში და იქვე ეპოვა სამარადისო სამყოფი ბინა.

შოთა რუსთაველი პოემას უძღვნის თამარ მეფეს, თამართან ერთად აქებს მის მეუღლეს, დავით სოსლანს:

„ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება
შუბისა, ფარშიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა,
ღაწვ-ბადახშ, თმა — გიშერისა“...

და

„თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ — დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად
გამორჩეული“.

პოემის ბოლოს მოხსენებულია დავითი:

„ქართველთა ღმრთისა დავითის,
ვის მზე ჰმსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად
მოსახმარებლად.
ვინ არის აღმოსვლეთით
დასავლეთს ზართა მარებლად“...

პოემის შესავალში მოხსენებული „ლომიც“ („ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა) დავითს უნდა გულისხმობდეს.

პოეტი თამარსა და დავითს ასახელებს როგორც ცოცხალს, თანამედროვე პირებს. აშკარაა რომ პოემა დაწერილია თამარისა და დავით სოსლანის ზეობის (მეფობის) ხანაში, 1189-1207 წლებს შუა (1189 წელს თამარი შეუუღლდა დავით სოსლანს, ხოლო 1207 წელს დავითი გარდაიცვალა. თამარი გარდაიცვალა 1213 წელს).

შოთა რუსთაველის არც დაბადების თარიღია ცნობილი, არც გარდაცვალებისა. ფიქრობენ, რომ იგი უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის 60-იან წლებში.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები რუსთაველის სწავლა-აღზრდის შესახებაც, თუმცა მთელი პოემა საკმაო მასალას იძლევა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ პოეტის განათლების საერთო ხასიათი, იმ პერიოდში, როცა რუსთაველს უხდებოდა ცხოვრება, სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში მაღალ დონეზე იდგა. ჩვენში მაშინ არსებობდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი — აკადემია. ასე, რომ XII საუკუნის საქართველოში ფართო შესაძლებლობა იყო ყოველმხრივი განათლების მისაღებად. როგორც პოემიდან ჩანს, რუსთველს გამოუყენებია ეს შესაძლებლობა.

ზეპირგადმოცემის მიხედვით, რუსთველს ჯერ საქართველოში დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი — იყალთოს აკადემია — და შემდეგ გამგზავრებულა ბიზანტიაში.

წიგნიდან: „ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები“, თბილისი, 2015 წ.

ქართული სიტყვის ჯადოქარი

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები

კ. ბალმონტი (რუსულად) | ნ. ზაბოლოცკი (რუსულად) | პ. პეტრენკო (რუსულად) | მ. ბაჟანი (უკრაინულად) | ს. ვურგუნი (აზერბაიჯანულად) | გ. ასატური (სომხურად)

დ. გულია (აფხაზურად) | ვ. უორდროპი (ინგლისურად) | ა. ლაისტი (გერმანულად) | ი. მეუნარგია (ფრანგულად) | ს. წულაძე (ფრანგულად) | ი. იედლიჩკა (ჩეხურად)

შოთა რუსთაველი ქართული სიტყვის ჯადოქარია. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ენის სიდიადე ყველაზე ღრმად და ფართოდ „ვეფხისტყაოსანშია“ გამოვლენილი. ამ თვალსაზრისით მას ქართულ მწერლობაში ვერც ერთი მხატვრული ქმნილება ვერ შეედრება, ამიტომაც არის, რომ საუკუნეთა მანძილზე რუსთაველის სწორუპოვარი პოემა შეითვისა, შეიტკბო და შეიყვარა ხალხმა, შოთასეული ენის სისადავემ და არაჩვეულებრივმა პლასტიკურობამ ნაწარმოები სახალხო კუთვნილებად აქცია, მისი სტროფები, აფორისტული, ხატოვანი თქმები ყოველდღიური, სასაუბრო ენის ორგანულ ქსოვილში მოაქცია.

უპირველესი ნიშანი შოთა რუსთაველის ენისა სწორედ ხალხურობაა. ენის დემოკრატიზაციის უდიდესმა მედროშემ— გენიალურმა მგოსანთ მგოსანმა ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით ახალი გეზი და მიმართულება მისცა საერო მწერლობის ენას და მას განვითარების ახალი გზა გაუწალდა. რუსთაველი დედაენის ღრმა მცოდნეა და მისი ისტორიული ღირსების შეუპოვარი დამცველი.

შოთა რუსთაველი ქართული სიტყვათშემოქმედების უდიდესი ნოვატორია, ნეოლოგიზმების შემქმნელი, ახალი ენობრივი ფორმების დამამკვიდრებელი. ამის მშვენიერი მაგალითია სიტყვის გაზმნავების ტენდენცია, რაც ქართული ენის მორფოლოგიის კანონებით არის შეპირობებული და ამ გზით მიღებული ნეოლოგიზმები ოდნავადაც არ არღვევს ჩვენი ენის სტრუქტურულ თავისებურებას. „ვეფხისტყაოსნის“ ენის ზემოხსენებული თავისებურება ქართული ზმნის თავისებური მექანიზმით არის გამართლებული. სავსებით მართებულად აღნიშნავდა დიდი ილია: „... განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლა — და გასაკვირველი ფორმები“. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ 450000 სიტყვაა და აქედან 40 პროცენტამდე ზმნას უჭირავს.

ასევე საინტერესოა ხარისხის ფორმების წარმოება: „დესი“ („და სიტყვისაგან), „უმოყვარესი“, „უცხენმალესი“ და მისთანანი.

„ვეფხისტყაოსანში“ მოქცეული არსებითი სახელები სემანტიკურად მეტად დატვირთულია და, პროფ. ვ. ბერიძის შეფასებით, ეს თავისებურება თქმის მაქსიმალური ეკონომიურობით არის გამართლებული. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა „გიშერი“.

„ვის შვენის, ლომსა, ხმარება
შუბისა ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა,
ღაწვ-ბალახშ-თმა-გიშერისა“.

აქ ნათქვამია, რომ თმა ისეთი შავია, როგორც გიშერი. ამ შემთხვევაში „გიშერი“ გვევლინება თმის ატრიბუტად. სხვა სტროფში ნათქვამია:

„ბროლ-ბალახში შეხვეული
და გიშერი ასადაგეს“.

აქ გიშერი, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ვ. ბერიძე, საგნის ატრიბუტია; რეალური საგანი უკვე აღარ არის, მისი შინაარსი ატრიბუტში გადმოსულა. გიშერი აქ შავი ულვაშია, იგი აღარ ჩანს, მაგრამ მის ადგილს ატრიბუტი (გიშერი) იჭერს. ამავე დროს, იგი „ატრიბუტობას კარგავს და სწორედ ეს იძლევა სიტყვას კონდენსირებულს, დაუნჯებულს: ორი და მეტი სიტყვის შინაარსი, მოცულობა ერთმა დაიჭირა, ერთმა აითვისა და სწორედ ეს გახლავს გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა“.

ამგვარი ნიმუშები პოემაში უხვადაა მოცემული.

„ვეფხისტყაოსნის“ სიტყვობრივი მარაგის შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა. რუსთაველის პოეტური ენის ქსოვილში ჩვენ ვხვდებით გარდასული ეპოქების, უხსოვარი დროის სიტყვათშემოქმედებითს ნიმუშებს, რომლებიც კარგად ასახავენ ჩვენი ხალხის მიერ განვლილ გზას და ძველი ყოფის რეალიებს. ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ქართულ ენას დღევანდლამდის შემოუნახავს ისეთი სიტყვები, რომლებიც ცოცხალი მოწმეა ქართველთა უძველესი საცხოვრისისა და სოციალური ურთიერთობებისა. ძველი ვითარების ნაყოფია ჩვენს ენაში შემორჩენილი სიტყვები, აგებული „წყალ“ ფუძეზე: წყალობა, მოწყალება, უწყალო, პირის წყალი, წყლიანი სახე, წყლიანი სიტყვა, საწყალი, პირწყალგასაწყვეტი, წყლიანად მოუბარი და სხვა. „ვეფხისტყაოსანში“ ამ უძველეს ხალხურ სიტყვებს

→ 7

6 ←

ლიტერატურული კანონიზაცია მიუღია; მიუხედავად ამისა, პოეტური ენის სტრუქტურაში ხალხური ენის სურნელება მაინც შენარჩუნებულია. გავიხსენოთ შემდეგი ადგილი: „ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტარ რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო“? ან კიდევ: „რა ფატმანისას შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი“.

ძველი, ისტორიული ვითარების მაუწყებელია, აგრეთვე, „ოტას დასხმა“, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. აი ეს ადგილიც: „მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა; გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა“. თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს: „აზიური ძველი ჩვეულება იყო, თუ მეფენი ლაშქრიდამ, როგორც ფრიდონს შეემთხვა, მობრუნდებოდნენ და თვისსა სატახტოს ქალაქსა მოვიდოდეს, ხალხი გაეგებებოდა და მის ნასიარულევის ადგილიდან მტვერს აიღებდნენ და თავზე გადაიყრიდნენ. ეს იყო ნიშანი გულითა მხურვალითა ერთგულებისა მათისა. ოტასა ისხემდეს ამას ნიშნავს — თავზე მტვერს გადაიყრიდესო“. პოემაში ოტას დასხმა ხატოვანი ფორმულაა და ნიშნავს მორჩილების გამოცხადებას, ერთგულებას, თავის დამცირებას. სწორედ ესაა საინტერესო: „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ვადასტურებთ გარკვეული ცერემონიალის ამსახველი სიტყვობრივი ფორმულის მეორეულ მნიშვნელობას. ფიგურალური თქმის ფუნქციით რომ დამკვიდრებულა ენაში.

იმავე ხატოვნების საფუძველზეა მიღებული „კიტრის მოკრეფა ბერად“, რომელიც ხალხური მეტყველების წიაღიდანაა ამოღებული: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. პოეტურ სტროფში ხალხურ ფრაზეოლოგიზმს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი ელვარება და სურნელება.

ყოფის რეალიების სიტყვობრივი ასახვის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი სიტყვა „თავშიშველი“ როგორც საზოგადოებრივი შერცხვენის გამოხატულება: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“. ეს იმდროინდელი ამბავია, როდესაც თავშიშველი სიარული საჩოთირო და საძრახისი იყო (გავიხსენოთ თქმა: „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული სიტყვების ანალიზი ერთობ საყურადღებოა ჩვენი ენის ისტორიის თვალსაზრისით.

რაკი დიდმა მგოსანმა გეზი აიღო ხალხურ მეტყველებაზე, სავსებით ბუნებრივია, რომ მის პოეტურ ენაში მოქალაქეობრიობას მოიპოვებდა მანამდის უცნობი ლექსიკური თუ გრამატიკული მოვლენები. ზოგი მათგანი აშკარა დიალექტიზმია ლიტერატურული მეტყვლების ქსოვილში შეჭრილი, მაგრამ ისე ორგანულად შეხამებული პოეტური ენის საერთო ფაქტურასთან, რომ ვერავითარი პურიზმი ვერ გამორიცხავს ამგვარი ფორმების არსებობას სალიტერატურო ენაში. აქ ჩანს რუსთაველის, როგორც უაღრესად თამამი და გაბედული სიტყვათშემოქმედის, თავისებურება.

არც უცხოურ სიტყვებს დაერიდა დიდი შოთა და თავის გენიალურ ქმნილებაში ფართო გასაქანი მისცა სპარსულ-არაბული ლექსიკის ელემენტებს. დიდი ნაწილი ბერძნული, სპარსული, არაბული სიტყვებისა ადრე იყო შეთვისებული როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტიკებში, საიდანაც საზრდოობდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ბევრი სიტყვა ქართულ ყაიდაზე იყო გადაკეთებული, ქართული ფონეტიკის ბრძმედში გატარებული. მაგალითად, ჯერ კიდევ აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღნიშნა, რომ შოთას დედაკილოში — მესხურში ადრევე იყო დანერგილი სპარსულ-არაბული წარმოშობის სიტყვა-გამოთქმები (ისევე, როგორც ისტორიულად სალიტერატურო ქართულმა შეითვისა უცხოური ლექსიკური ელემენტები).

შოთა რუსთაველის სწორუპოვარი ქმნილება ქართული ენის მშვენებაა და მისი შინაგანი თვისებების ყველაზე მონუმენტური გამოხატულება.

შოთა ძიძიგური,
პროფესორი

რუსთაველი სად არის?

როცა წყვდიადს ანათებდა
შენი სიბრძნის ლამპარი.
ნუთუ მართლა ჩვენს მამულში
იყავ მიუსაფარი...
ახლა ქარიც ჩამჩურჩულებს:
— რუსთაველი სად არი?
საით წახველ, რომელ მხარეს
ჩაგიღამდა თვალები,
საით ხრიდნენ გლოვის ნიშნად
ტოტებს დინჯად ალვები,
სად დაეშვა ყორნის ფრთებით
ჟამი გამოსალმების.
დილის ნამი თინათინის
თითქოს ცრემლი მგონია.
თითქოს თვალწინ პალესტინის
ლურჯი ტყე და მოლია,
სად გიპოვნოთ, დრო — სიცოცხლის
გაუვალი ფონია.
ისევ მზეა, დის წყარონი,
ლურჯად ღელავს მთა-ბარი,
ისევ ქვეყნად დაბრძანდები,
როგორც ტკბილი ზღაპარი
და მეც ნიავს ვეკითხები:
— რუსთაველი სად არი?

ალექსანდრე შანიძე

სიზმრად ნანახი

თავზე ვარსკვლავი ენთო უთვლელი,
ალაგ ჭაღარაც ენთო ღაწვებთან;
ნაპირთან იჯდა შოთა რუსთველი,
ვეება კალამს ზღვაში აწებდა —
წერდა, რას წერდა!
მიაგელვებდა რითმების ქურანს,
ზღვა შეჰხაროდა ტალღების ტაშით,
ბორგავდა მკერდი – ლექსების ქურა!
შორს კი ზეფირი მისდევდა ტაშირს
ღრუბლების რაშით!
ნეტავ რა დარჩა კიდევ უთქმელი
ლექსთა გრიგალის
ქვეყნად დარწევას!..
ნაპირთან იჯდა შოთა რუსთველი,
ვეება კალამს ზღვაში აწებდა —
წერდა, რას წერდა!

სერგო ფაცაცია

დიდი მხატვრები

მიხაი ზიჩი
(1827-1903)

„ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი პირველი ილუსტრირებული გამოცემა ეკუთვნის გიორგი ქართველიშვილს. მის მიერ 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ დაასურათა უნგრელმა მხატვარმა მიხეილ (მიხაი) ალექსანდრეს ძე ზიჩიმ.

ჯერ კიდევ 1881 წელს შედგა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია იონა მეუნარგიას თაოსნობით. კომისიაში მონაწილეობდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი და სხვები.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემას აქვს გამომცემლობის საინტერესო მინაწერი: „სურათების დახატვა ამ ტექსტისათვის იკისრა უსასყიდლოთ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს ბრეზეს ქსომოლითოგრაფიაში, არშიები, სათაური, ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა, და ამოჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდამ და საქართველოს ციხეეკლესიებიდამ“.

საინტერესოა თვითონ ზიჩის პიროვნება. ზიჩი უნგრეთის ქალაქ ზალაში დაიბადა. დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხატვას და ფერწერას სწავლობდა იტალიელ მხატვარ მაროს ტონთან. შემდეგ — ვენის სამხატვრო აკადემიაში — ვალდ მიულერთან.

1847 წელს ზიჩი მიიწვიეს რუსეთში სამეფო კარზე ფერწერის მასწავლებლად.

1859 წელს ზიჩი უკვე „კარის მხატვარი“ იყო და მეფის დავალებით ხატავდა ნადირობის სცენებს, კარის ცხოვრების ეპიზოდებსა და სხვა.

ზიჩი ფრიად განათლებული, ნაკითხი კაცი იყო. მან დაასურათა რუსული ეპოსი — „იგორის ლაშქრობა“, გოეთეს — „ფაუსტი“, ბაირონის — „დონ ჟუანი“, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის და სხვათა ნაწარმოებები.

მ. ზიჩის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ წერდა: „ამჟამად ჩვენს ქალაქში იმყოფება გამოჩენილი პირი — მხატვარი ზიჩი. ის ჩამოსულია ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსი პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ დასურათებისათვის. დახატოს აგრეთვე, ზოგიერთი სურათები ბუნების, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აღწერილი“.

ზიჩი გაეცნო ქართველ მოღვაწეებს. იონა მეუნარგიამ მას „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად გააცნო, აჩვენა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები. ზიჩი მოიხიბლა ამ პოემით და მისი დიდი თაყვანისმცემელი გახდა. ზიჩი თვითონ წერს: „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ახლაც ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენდა ქართველთათვის — როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო“.

ზიჩი „ვეფხისტყაოსნის“ დამდგენი კომისიის წევრებთან განუწყვეტელ კონტაქტში იყო. მათი მეშვეობით ეცნობოდა პოემის შინაარსს და ამზადებდა ესკიზებს. ხატავდა ნატურიდან, შესაფერ ტიპებს არჩევდა და ბოლოს ისე მოიხიბლა „ვეფხისტყაოსნით“, რომ მან ამ გამოცემისათვის სურათების უსასყიდლოთ დახატვა იკისრა. საგამომცემლო კომისიამ ზიჩის მხოლოდ 12 სურათის დახატვა სთხოვა. ზიჩიმ დახატა ესკიზები, მან კომისიას სთხოვა შეემოწმებინა ისინი და შენიშვნები გამოეთქვათ.

ზიჩი წერდა: „მე თქვენ გიგზავნით არა 12-ს, არამედ ოცდათორმეტ ესკიზს ამოსარჩევად“... თანაც დასძენდა, გთხოვთ ჩემს სურათებს ისე მოექცეთ, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — სათუთად და ნაზადო. აქ წარმოდგენილი იყო თინათინის გამეფება, უცხო მოყმის ნახვა, ნადირობის სურათი, თათბირი ქაჯეთის ციხის ასაღებად და სხვა.

ქართველიშვილისეულ გამოცემაში ზიჩის 26 ილუსტრაცია დაიბეჭდა. ზიჩის 34 ილუსტრაცია 1903 წელს გამოაქვეყნა დ. კარიჭაშვილმა, ხოლო 1937 წელს მოსკოვში ბალმონტისეულ რუსულ თარგმანში უკლებლივ იქნა ისინი რეპროდუქტირებული.

ცნობილია, რომ მიხაი ზიჩის ინიციატივით ბელა ვიკარმა „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე თარგმნა. 1889 წლის ზაფხულში პეტერბურგის მახლობლად, ლახტში აგარაკზე, სადაც ზიჩი ცხოვრობდა, ზიჩიმ ბელა ვიკარს აჩვენა ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ თავისი დასურათებით, აღტაცებით მოუთხრო პოემის შინაარსი და დაჟინებით სთხოვა ეს პოემა უნგრულ ენაზე ეთარგმნა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისათვის პოემის გმირთა სახეების შესაქმნელად ზიჩიმ რეალურ პიროვნებებს მიმართა. ამ საქმეში მას ხელს უწყობდა გენერალ ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე ნინო წერეთელი, რომელმაც საგანგებო ტანსაცმელი შეკერა პოემის გმირთათვის. ნინო მეტად ლამაზი ქალი იყო და ზიჩიმ თამარ მეფის დასახატავად მისი გარეგნობა გამოიყენა. შოთას სახე შექმნა ცნობილი ქართველი პოეტის მამია გურიელის; თავადისა — ვალერიან გუნიას, სეფე ქალებისა — თარხნიშვილების, ფაფანაკიანი კაცი — ანტონ წულუკიძის, თინათინი — ნ. ჩოლოყაშვილის, ნესტან-დარეჯნისა — ფაღავას, დრიდონისა — ჯაბა გურიელის, ფარსადანისა — ჯამბაკურ გურიელის, თავადისა — დიმიტრი წერეთლის, ტარიელისა — პოეტ გიორგი შერვაშიძის, როსტევანისა — ქაიხოსროს სახეთა მიხედვით.

მიხაი ზიჩის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები მალე გავრცელდა და საკმაოდ პოპულარული გახდა. ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით და პატივისცემით ახსენებს მიხაი ზიჩის სახელს. დღეს თბილისში ერთ-ერთი ქუჩა მიხაი ზიჩის სახელობისაა.

ბორის კანდელაკი,
გაზეთი „სახალხო განათლება“,
16.IX. 1966 წელი.

P.S. მომავალ, 2017 წელს, დიდ უნგრელ მხატვარს — მიხეილ (მიხაი) ალექსანდრეს ძე ზიჩის დაბადებიდან 190 წელი უსრულდება.

„ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐ“...

„ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ — ᲩᲔᲛᲘ ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ“!..

ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1942 ᲬᲔᲚᲡ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲨᲘ (ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲬᲔᲠᲘ). ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ Ა. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ. ᲘᲧᲝ ᲤᲠᲘᲐᲓᲝᲡᲐᲜᲘ, �გᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ. ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲓᲐᲨᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲓᲐ, ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲚᲛᲐᲡᲕᲚᲐ. ᲐᲛᲐᲡ, ᲣᲓᲐᲕᲝᲓ, ᲐᲠᲓᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲣᲑᲔᲓᲝᲑᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲓᲘᲐᲞᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲧᲝᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ!

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ, �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔ-2 ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 42 ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ-ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ. ᲬᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ...

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ Ა. ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ, ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲐᲓ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐᲡ ᲛᲐᲜ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲣᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ. ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ — ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲔᲑᲡ, ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡ, ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲡ.

ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲨᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ, ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲭᲘᲠᲘᲗ ᲬᲣᲮᲘᲚᲘ. ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲐᲥᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ. ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ, 38 ᲬᲚᲘᲡ, �გᲣᲚᲜᲐᲢᲙᲔᲜᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲒᲐᲘᲧᲝᲚᲘᲐ...

ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲛᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐᲛ �პᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘᲪ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜ �გᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ, Ა. ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲬᲝᲓᲔᲡ — �პᲝᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲤᲘᲤᲘᲐᲛ ᲓᲐ Ა. ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲕᲐᲟᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲐᲙᲣᲠ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲛ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

„ᲜᲝᲯᲘᲮᲣᲠᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐ�გᲐᲖᲔᲗᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ“, �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗ.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲔᲚᲐᲗᲨᲘ. ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲖᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ.

ᲛᲝᲖᲔᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ

ᲜᲔᲢᲐᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲔ ᲛᲬᲕᲔᲕᲘᲐ,
ᲑᲔᲓᲐᲓ ᲛᲥᲝᲜᲔᲑᲘᲐ ᲑᲠᲫᲔᲜᲗᲐ ᲨᲗᲐ�გᲝᲜᲔᲑᲐ.
ᲮᲘᲚᲕᲐᲓ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲖᲛᲐᲜᲔᲑᲘᲐ,
ᲐᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ...
ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ ᲢᲠᲤᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲗᲛᲘᲐ,
ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ,
�გᲠᲫᲜᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲔᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲣᲚᲐ,
ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ,
ᲛᲔ ᲡᲔᲛᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲑᲐᲦᲘ ᲐᲛᲘᲒᲘᲐ,
ᲠᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲬᲕᲔᲕᲘᲐ.
ᲐᲰᲐ, ᲩᲔᲛᲘ �გᲣᲚᲘᲡ ᲣᲚᲐᲦᲔᲡᲘ ᲫᲒᲔᲠᲐ, —
ᲘᲛ ᲜᲔᲢᲐᲠᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲗ �გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ;
ᲦᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲜᲐᲠᲔ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ —
ᲔᲕᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲝᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ,
ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲔᲓᲕᲐ
ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ,
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲢᲠᲤᲝᲑᲘᲗ �გᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ
ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ,
ᲖᲛᲐᲜᲔᲑᲐᲓ ᲗᲣ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲚᲐᲜᲓᲔᲑᲐ, —
ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ
ᲒᲐᲜᲛᲘᲪᲓᲘᲐ
ᲓᲐ ᲖᲔᲘᲛᲖᲔ ᲫᲕᲜᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲔᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ.
ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲝᲚᲘᲛ�პᲝᲡ ᲜᲐᲓᲘᲛᲖᲔ ᲬᲕᲔᲣᲚᲛᲐ,
ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲮᲕᲓᲝᲛᲘᲚ ᲕᲐᲨᲚᲡ
ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲡᲢᲐᲪᲔ,
ᲣᲪᲐᲓᲝᲜ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲛᲐ ᲛᲬᲧᲔᲛᲘᲡ ᲠᲐᲡ
�გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ,
ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲖᲔ
ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ!

ᲚᲐᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲘ

ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲚᲐᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲘ
ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ;
ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲘ
ᲓᲐ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑ ᲨᲔᲜᲖᲔ...
ᲬᲘᲗᲚᲐᲓ ᲔᲚᲐᲕᲡ ᲚᲐᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲘ —
ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ ᲘᲬᲕᲘᲡ,
ᲛᲔ ᲘᲡ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲜᲐ,
ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲤᲘᲤᲥᲘ...
ᲛᲔ ᲠᲐᲓ ᲛᲐᲓᲜᲝᲑᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲙᲔᲠᲓᲘ,
ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲤᲘᲤᲥᲐᲓ,
ᲛᲫᲘᲕᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲕᲔᲕᲘᲐ
ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲐᲓ...
ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲚᲐᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲘ
ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ,
ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲘ
ᲓᲐ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑ ᲨᲔᲜᲖᲔ...

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲐᲠᲪ ᲒᲯᲔᲠᲐᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲬᲠᲤᲔᲚᲘᲡ,
ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲐᲛᲐᲝᲓ ᲨᲔᲕᲦᲘᲛᲘ ᲛᲐᲘᲡᲡ,
ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲐᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲡ ᲠᲐᲪ ᲕᲗᲠᲗᲘ,
ᲠᲐᲪ ᲕᲛᲦᲔᲠᲘ.
ᲓᲐ ᲘᲡᲦᲐ ᲓᲐᲛᲠᲩᲐ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ.
ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲣᲠᲤᲘᲗ ᲕᲘᲬᲕᲘ,
ᲐᲑᲐ, ᲠᲐ ᲘᲪᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲘ,
ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲡ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ
ᲓᲐ ᲡᲣᲚᲗᲛᲗᲠᲗᲝᲚᲕᲐᲠᲔ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲐᲘᲠᲘ.
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ — ᲩᲔᲛᲘ, ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ,
ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ,
ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ-ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲓᲠᲝ ᲛᲘᲰᲭᲠᲘᲡ ᲚᲐᲦᲐᲓ,
ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲟᲐᲛᲗᲐ ᲡᲘᲐᲕᲔᲡ,
ᲛᲖᲔ ᲛᲝᲙᲐᲨᲙᲐᲨᲔ ᲨᲣᲥᲘᲗ ᲛᲝᲰᲤᲔᲜᲡ
ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲡ,
ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ
ᲓᲘᲐᲓ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲙᲔᲜ
ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲐᲜᲘᲕᲘᲗ
ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲠᲝᲚᲔᲑᲡ.
ᲒᲖᲐ ᲒᲐᲗᲔᲚᲘᲚᲘ, ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘᲗ,
ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲐᲪ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ
ᲔᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ,
ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲙᲕᲐᲚᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ!..
ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲮᲐᲢᲐᲕᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ
ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲡ,
�რᲐᲛ ᲓᲐᲒᲒᲐᲕᲘᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲨᲕᲘᲚᲜᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ?
ᲓᲒᲐᲡ ᲛᲘᲯᲜᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲣᲚᲘ;
ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲣᲰᲧᲠᲘᲐ
ᲢᲐᲢᲝᲡ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ

ᲰᲔ, ᲨᲔᲕᲐᲕᲡᲝᲗ ᲛᲝᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲚᲘ ᲗᲐᲡᲔᲑᲘ,
ᲬᲐᲛᲝᲓᲔᲥᲘᲗ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲝ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ,
ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲝ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲝ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲨᲔᲕᲡᲕᲐᲗ!
ᲛᲝ, ᲓᲐᲕᲫᲐᲮᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ,
ᲠᲝᲛ �გᲣᲒᲣᲜᲘ ᲖᲔᲪᲐᲡ ᲛᲘᲡᲬᲕᲓᲔᲡ ᲛᲔᲮᲐᲓ,
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ
�გᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲡ ᲓᲐ „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲡ“ ᲔᲡᲛᲐᲡ!
ᲛᲝᲕᲘ�გᲝᲜᲝᲗ ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ,
ᲛᲝᲑᲯᲔᲜᲘᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲗ ᲤᲐᲚᲐᲜᲒᲐ,
ᲓᲐ ᲣᲗᲕᲐᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ,
ᲨᲔᲛᲢᲕᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲜᲩᲘᲡᲮᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ.
ᲓᲐᲒᲒᲜᲐᲗᲝᲓᲐ ᲢᲠᲤᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲮᲘ,
�გᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲭᲔᲓᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲝᲢᲑᲐ,
ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲐ ᲢᲐᲠᲘᲒᲐᲓ
ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲛᲐ.
ᲓᲐᲕᲐᲛᲦᲔᲠᲝᲗ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ,
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲒᲐᲠᲯᲐ,
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲮᲕᲐᲕᲝᲗ,
ᲐᲠ ᲕᲐᲙᲐᲓᲠᲝᲗ �გᲣᲚᲖᲔ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ.
ᲐᲠ ᲓᲐᲕᲮᲐᲠᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲓᲠᲝᲨᲐ,
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲜᲐᲤᲔᲠᲡ ᲪᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ,
�გᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ
�გᲐᲓᲣᲚᲝᲪᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲡ!..

→ 9

ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ.
ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ: ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲕᲘᲪᲐᲠᲘᲫᲔ, ᲐᲠᲓᲐᲨ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ, ᲛᲔᲣᲦᲚᲔ — �გᲣᲚᲜᲐᲖ ᲡᲮᲣᲚᲣᲮᲘᲐ, ᲔᲗᲔᲠ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ, Დ. ᲙᲕᲘᲪᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ: �გᲣᲚᲕᲐᲠᲓ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲕᲘᲪᲐᲠᲘᲫᲔ, ᲔᲗᲔᲠ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ.

8 ←

ბაგრატის ტაძარი

უქიმერიონთან ბაგრატის ტაძრის
კედლები სიმაღლით ზეცას
რომ სწვდებიან,
დგანან ავბედით თავდალეწილები,
ათასწლის ჟამთასვლის სიავეს ჰყვებიან.
შესცქერი კედლების ჩუქურთმებს და
გესმის
თითქოსდა ქვა სუნთქავს ქართული
ხალისით.
ვითომდა სიშიშვლეს სრულიად
არ გრძნობენ,
ჟამთასვლას ებრძვიან ამ სიდარბაისლით.
გმირულად ელიან, ცის თაღად შეიკრას
გუმბათი, ნგრეული მტარვალთა ხელებით,
რომ კვლავ აღიმართოს ტაძარი
მსხვრეული,
გვირგვინი დაიდგას საკვირველების.
ოცნებით გუმბათი ზეცაში ავზიდე,
კვლავ წამომართულან სვეტები
გუმბათთან,
აღდგენას ზეიმობს გრემი და სიონი
და პარაკლისი აქვს ქართველებს
გელათთან.

ენგურჰესი

წინ მიიწევს და ბობოქრობს წყალი,
შეჯახებულს, კლდის ქიმები ფატრავს,
მზის სხივები მიმოაბნევს ღრუბლებს
და გვირგვინად ცისარტყელას ადგამს.
კლდეს აპობენ, ხუნდს ადგამენ ენგურს
მშრომელები მახსანიის მთასთან,
რომ ლამაზი ნათურების შუქი
დაედაროს მზის სხივების კაშკაშს.
და ის მძლავრი არტერიის ძალა
ამსუბუქებს მშრომელ ხალხთა გარჯას,
კვლავ მრავალმა სიყვარულის პირმშომ
გვასახელოს ჩვენ დიდების კართან.
აგერ მოჩანს მშენებლობის გეგმა,
სჭვრეტს სიბრძნე და სხივი ბნელეთს
ფანტავს,
ჰა, აანთო მან კვლავ ერთი შუქი
და განათდა კავკასიის კალთა.

კონსტანტინე გამსახურდიას

შენ ჟამთა სრბოლის წარუშლელი
კვალი წაშალე
ეთერში მისწვდი წინაპართა ტანჯულ
სახეებს,
და განახლებულ საქართველოს
წარმოუდგინე
სამშობლოსათვის ვინც იბრძოდა და
გვასახელა.
ყველა მოკვდება, მიწის ვალი ვინც
იზიარა,
გინდ მეფე იყოს, გინდაც გმირი,
ანდა გლახაკი,
ჟამთა სვლაში არ წაიშლება მათი სახელი,
ვინც სამშობლოსთვის თავი დასდო
ამ ქვეყანაში.
ბნელით მოცულა მათი საქმე,
სწრაფვა გმირული,
არ დაწერილა ცხოვრებათა მათი დღიური,
ვინც ხმლით დაიცვეს საქართველო —
დედა მზიური.
საქართველოსთვის დღეს დაცემულ
მებრძოლს, მოისარს,
მტერთან ბრძოლაში რომ დაეცა და
რომ მოისრა,
შენ ააყენე, საქმე უქენ მეტად ჩაუქი,
შენ გააცოცხლე მათი საქმე, სული ჩაუდგი.
და შენ გეკუთვნის, საქართველოს
დიდო ქომაგო,
რუსთაველის ძმავ, პროზის მეფევ,
ცოდნის სარდალო,
დიდ შოთას და შენ, — პოეზია —
პროზის არწივებს,
თავზე გვირგვინი რომ დაგახუროთ,
მეფეს გადაროთ.
გაივლის დრო და დაინგრევა
გელათის კარი,
სვეტიცხოველსაც დააბერებს დრონი
და ჟამი,
მაგრამ შენ შექმენ მათზე მძლავრი
სიტყვათა ჯარი,
და ეს იქნება, სანამ ქვეყნად
სიცოცხლე არი!

* * *

ნუ გსურს ქვეყნად ძლიერ ბევრი მეგობარი
გყავდეს,
ძმად ნუ ჩათვლი ყველა გამვლელს,
ვინც კი დაგიზავდეს,
იქნებ ხალხში ის ფიცავდეს მეგობრობას
ნამდვილს,
ნამდვილად კი მტერი იყოს,
საქმით დუშმანს ჰგავდეს.
უფრო კარგი ქვეყანაზე რამე იცი განა?
თუ გყავს სატრფო მშვენიერი და
ერთგული თანაც,
მუდამ ცდილობს დრო იშოვოს,
სადმე ჩუმად გნახოს,
მუდამ ცდილობს გვერდით გედგას,
და იყოს შენს ახლოს.

პედაგოგის პოეტური სამყარო

... „ცხოვრებას ვიწყებ, ისევ ხელახლა“!..

მედეა ფიფია დაიბადა 1950 წლის 10 თებერვალს, წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში.

დაწყებითი კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის მე-5 საშუალო სკოლაში, რომელიც 1967 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის მ. გორკის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ნაგურუს 8-წლიან სკოლაში.

1972 წელს გადაყვანილ იქნა ლარა-მედანის დაწყებით სკოლაში, სადაც უკვე 4 ათეულ წელზე მეტია მუშაობს.

ლექსის წერა დაიწყო ადრეულ ასაკში. უყვარს პატარები, მათაც უძღვნის თითო სტრიქონს, როგორ სწავლობენ, როგორები არიან...

ჰყავს ორი ვაჟი, უფროსი ცოლშვილიანია, პროფესიით მხატვარი და თვითნასწავლი მომღერალი, რომელიც ქ. სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს და მუშაობს. მეორე — კარატისტია, 5 ქამრის მფლობელი. ვარჯიშობს „კიოკიუშანკანის სახეობაში, თბილისში.

მედეა ფიფიას ჰყავს ერთი შვილიშვილი, რომელიც სწავლობს პეტერბურგში, ინგლისური სკოლის მე-5 კლასში.

„ნოჯიხურის“ მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს ქალბატონ მედეას შემოქმედებიდან.

მოიარე სამეგრელო

„საქართველო ხოხობია,
სამეგრელო ხოხბის ყელი“,
თუ არ გჯერათ, მოიარეთ
ჩვენი კუთხის მთა და ველი.
მთის მდინარეს უერთდება
მოწანწკარე ნაკადული,
ხალხი მეტად ხელგაშლილი
გეგებება ღია გულით.
უმალ სუფრას გაგიშლიან
საცივით და ხაჭაპურით,
შებრაწული ვარიებით,
ცხელი ღომი სულუგუნით.
სულო, გულო, რა არ გინდა,
ხელს მოჰკიდებ წითელ ღვინოს,
მასპინძელი არ გაგიშვებს
ისე, რომ არ მოილხინო.
სიმღერასაც შეუყვები,
შემოსძახებ როგორც გინდა,
ბანს მოგცემენ დიდი მთები,
წყაროები სუფთა, წმინდა.
მერე ბაღებს გადახედე
შორს რომ მოჩანს ფართე ველი,
ვაზი, ტოტებდახუნძლული,
ადესა და რქაწითელი.
მდინარესაც აუყევი
დაწინწკლული კალმახებით,
ტრანსპორტი არ დაგჭირდება,
მოიარე ყველა ფეხით.
თუკი გზაზე დაგიღამდა
დაუძახე ნებისმიერს,
შენს სტუმრობას დააფასებს,
არ შეიცვლის სახის იერს.
ისეთ ვახშამს გაგიმართავს
არ დაუწყებს ვინმეს ლოდინს,
თბილ ოთახში მოგათავსებს
და გაგიშლის სუფთა ლოგინს.
ტკბილ ძილსა და ტკბილ სიზმრებში
გათენდება დილა მალე,
იტყვი: ისევ ვესტუმრები,
მესმის სამეგრელოს მხარე.
დაბრუნებულს მოგინდება
მეგობრებთან სჯა-ბაასი;
ეტყვი: არსად არ მინახავს
სამეგრელოს კუთხის მსგავსი!

2015 წ.

საქართველოს მიწა-წყალი...

საქართველოვ, ბევრისათვის
საფიცარო მამულო,
წინაპართა სისხლ-ნაღვარო,
ცრემლით გადანამულო.
ურდოები თავს გესხმოდა,
უკან როდი იხევდი,
მეფეები ბევრი გყავდა
საუკუნის მიხედვით.
დავითი და თამარ ქალი,
ჩვენი გვირგვინოსანი,
სასახელო ვაჟკაცები:
გიორგი და სოსლანი...
ერთად ჰქონდათ საიდუმლოდ
გამარჯვების მიზანი,
შორს ელავდა გორგასალის
გატყორცნილი ისარი.
გესეოდა ოსმალები,
ყიზილბაშთა ლაშქარი,
ბრძოლის ველზე ფრიალებდა
გმირთა დედის თავშალი.
ძმანი ხერხეულიძენი
რომ იცავდნენ მარაბდას,
დედა დროშას გადასცემდა,
დაჭრილს სისხლი ღვარავდა...
შიგნით მტრებიც ბევრი იყო,
მსგავსი თემურ-ლენგების,
დედის იმ ტკბილ იავნანას
შხამს ურევდნენ ლეკები...
სააკაძე მუსრს ავლებდა
სპარსელების არმიას,
პაატას თავს განრისხებით
ჰკვეთდა შაჰის ხმალია.
წინაპართა ბრძოლები
საგმირ-სასიქადულო,
ნაწილებად ქცეულო
ჩემო ტკბილო მამულო!
აფხაზეთი წაგვართვეს
ლაჟვარდ-ხავერდოვანი,
ძმათა სისხლი დაღვარეს,
გვქონდა დიდი გლოვანი...
ახლა თითქოს მიყუჩდა
ვაება და გოდება,
იქ განვლილი დღეები
ვის არ მოაგონდება.
იმედი მაქვს, რომ კვლავაც
მოიშუშებ იარებს,
ვინ იქნება ისეთი,
შენ რომ გაგამთლიანებს.
ზრუნვა არ მოჰკლებოდეს
შენს ბაღებს და ვენახებს,
საქართველოს მიწა-წყალო,
ერთიანი მენახე!..

1999 წ.

წალენჯიხაში მოთარეშე „მხედრიონელებს“

წავიკითხე მწერლისა და ჟურნალისტის, ბატონ თამაზ ფიფიას დოკუმენტური ნარკვევი „მხედრიონელთა“ მხეცობაზე, რამაც სულით ხორცამდე შემძრა...

გულის მაგივრად ქვა გიდევთ მკერდში,
რაც წავიკითხე... მას ვინ იზამდა,
ამდენი ცოდვა როგორ დაიდეთ,
რად დაისახეთ იგი მიზნადა?..
ტყვიას ახლიდით... ნუთუ არ გეყოთ,
თვალებს რომ თხრიდით მუხანათურად,
თავებს ისროდით და აგორებდით,
ყოჩაღ ბიჭებო, როგორ გართულხართ?!.
აღარ ინდობდით გამვლელ-გამომვლელს,
უვარდებოდით დიდს თუ პატარას;
ვინ გამოგზარდათ თქვენ, სატანები,
დედამ მუცელში როგორ გატარათ?!
თქვენი შავბნელი ნამოქმედარი —
ტანჯვა... წამება... ნაიარევი...
თქვენ თავს ქართველებს
როგორ უწოდებთ,
ქართულ მიწაზე დაიარებით.
ქედმოუხრელი ის წალენჯიხა
მემატიანეს ხსოვნად რომ დარჩეს!
ქართველი ერი მთლად რომ ამოწყდეს,
თქვენისთანები არ უნდა გაჩნდეს!..
მომხდურის ხელით მოსხეპილ ტოტზე
ისევ იხარებს პაწია კვირტი,
ეს სისასტიკე რაში დაგჭირდათ,
ამ თქვენს საქციელს თუ დაუკვირდით?..
ქართველი კაცის დასამიწებლად
თქვენ, ქართველები, ესროდით მხოლოდ...
სხვამ თუ არადა, მას საკუთარმა,
მას გულმა უნდა მოუღოს ბოლო!..

2008 წ.

ქართველი ჯარისკაცის სევდიანი სიმღერა შევარდნაძის ბნელ ეპოქაში

ქართველი ბიჭი ვარ, ჯარში ვმსახურობ და
ტილები მეხვევა თავზე,
ნახევრად მშიერი სხვის ლუკმას
გავყურებ და
როდემდე ვიქნები ასე?
მტარვალი მთავრობა თუ ოდეს გადაგდა,
იქნება მეშველოს რამე,
საწოლში ვწევარ დაღონებული და
ფიქრებში არ მძინავს ღამე.
დილა უთენია „სტროიზე“ გავდივარ,
არა მაქვს ძალი და ღონე,
წარმოიდგინეთ, აბა რა იქნება
ჩვენი მომზადების დონე...
ტექნიკა რა არი, არც ერთმა არ ვიცით,
გვიჭირავს ავტომატი,
ქართველი ვის ებრძვის, მტერს თუ
მოყვარეს, მაწუხებს ამაზე დარდი...
მე ჩემი წარსული არ დამავიწყდება,
აწმყოს კი თვალნათლივ ვხედავ,
მომავალს იმედის თვალით გავყურებ და
ჯერ სიტყვა ვერ გამიბედავს.
ღმერთო, მანახე ჩემი საქართველო
ერთიანი და მთელი,
გამარჩევინე მტერი და მოყვარე
ჩემი ქართველი ერის!

მდინარე ინწირას

დაურქმევიათ შენთვის ინწირა,
რადგანაც ვიწროდ მოედინები,
ზოგან გაშლილხარ მხარ-სიგანეში,
ზოგან ნაპირზე ჰყვავის იები.
აქაფებულხარ და როგორც ვიტყვით,
„მარჩხას“ აჰყვება შენი კალმახი,
დაწინწკლული და მზეზე მბზინავი,
დატკბები მისი ერთი დანახვით.
არ გემეტება, რომ დაიჭირო,
ხან კი ვართ მეტად დაუდევარი;
შემოდგომაზე დაიკრიფება
წითლად ელვარე ვაზის მტევანი.
ჩქვალერი ვიცით, ჯვარს გადმოჰყურებს,

→ 10

9 ←

მწვანით მოსილი დიდი ფერდობი,
აქ დაუზრდიათ ბევრი ვაჟკაცი,
რომელთა ხელებს დღესაც ვენდობით!
ფიფიები და ხუბუტიები,
დასთაქარობდა დიდი ეგნატე,
რამდენჯერ დანით ხელი აღმართე!
რამდენი სიკვდილს გადაარჩინე,
რამდენს გაუთბე ისევ კერია...
რაიმე ლექსი რომ დაგიწეროთ,
ვფიქრობ, რომ ჩემში ამის ჯერია.
შემოგივლია ამერ-იმერი —
შენი დედული, შენი მამული,
ჭანისწყალი და შენი მაგანა,
დაუშრობელი ჰიდრო-ენგური...
შენი ბილიკი, ცა და ალაგი
მოგნატრებია ისევ ბოლოჟამს.
თუნდ მოჩუხჩუხე პატარა წყალი,
წარსულს გაგონებს შენი მოროჟა...

P.S.
ეგნატეს ორანი კვლავ დგას ყვირაზე,
და გადმოჰყურებს კოლხეთის
დაბლობს...
ასეთი კარგი მონათხრობისთვის,
ბატონო ზაურ, თქვენ დიდად გმადლობთ!

მიყვარს ჩემი დედულეთი
(ნაგურუ)

მიყვარს ჩემი დედულეთი,
ვტკბები მისი დანახვით,
თან ინწირა ჩამოუდის
დაწინწკლული კალმახით.
გაიხედავ, გიხარია
მოჩანს მწვანე ფერდობი,
თითქოს ჩემ ტოლ მეგობრებთან
თამაშობით ვერთობი.
წინაპართა სამოსახლო,
ოდასახლი ფიცრული,
შუა ცეცხლი კერიაზე
კეცზე მჭადი მიკრული.
თან რძიანი სულუგუნი,
ოდნავ მარილმოყრილი,
მუდამ ჩუმად მოფუსფუსე
ბებო წელში მოხრილი.
კაკლის ხევ და ხეივანო
მოგონებად დამირჩი,
ბებოს ტკბილო თათარავ,
ჩურჩხელა და ჩამიჩი...
წყაროს წყალი რომ მომქონდა
ძლივს მეჭირა „ჭინჭილა“,
მახსოვს, ქორი იტაცებდა
ქათამსა თუ წიწილას.
ჰაუ, ჰაუს გაძახილი,
ყურშაც ყეფდა ეზოში.
რძე ჩხრიალით ჩადიოდა
ვებერთელა ვედროში.
მერე ნახირს გარეკავდა
სოფლის ვიწრო შარაზე,
ხბო კუნტრუშით მიმორბოდა
დილის ცვრიან ბალახზე.
წყაროს წყალი უფსკრულიდან
გადმოსული ნაკადად,
თვალს მტაცებდა ირგვლივ მთები,
დაბურული ლაკადა...
სოფლის გაღმა მოისმოდა
ჟრიამული ცელქების,
სკოლის ეზოს ამშვენებდა
კაკლის ხე თუ ვერხვები.
გამოღმა კი სულ პატარა
გვქონდა წყალზე წისქვილი,
შრომასა და დიდ გარჯაში
მიმიძღვოდა იქ წვლილი.
მეწისქვილე – ძია პეტრე,
მუდამ სახე მღიმარი,
ინწირა კი აბრუნებდა
დოლაბს ჩამომდინარი.
„მოზოჯითო, ბაბა-სქუა“ —
ყველას ასე გვეტყოდა,
ძაღლის ყეფა მოისმოდა
და ყიყლიყო — ერდოდან.
იმ წისქვილის კუთხეში
შეშა ბლომად ეყარა,
გვიყურებდა თვალებში,
შეჰხაროდა ქვეყანას.
შუა ღამე გადასულა,
მინავლულა ღადარი,
ეს პატარა წისქვილი
იყო მისი საყდარი...
მერე გაუდგებოდა
სახლისაკენ შარა-გზებს,
გესმით? მგელი ყმუისო,
კარი მაგრად ჩარაზეთ!
ზოგიერთებს კი შიშით
არ გვეძინა ღამითა,
ბებო მეფერებოდა,
მამშვიდებდა ამითა...
მახსენდება ბავშვობა,
ჩემი ტკბილი წარსული.
ბებო მყავდა თავადი
ჩიქოვანის ასული.
წერა-კითხვა იცოდა,
ზღაპრები და არაკი,
მუდამ ჰქონდა სტუმრისთვის
შენახული არაყი.
ბაბუა კი არ მახსოვს,
ადრე გარდამეცვალა.
კომუნიზმის ხანაში
სოფელს ფერი ეცვალა...
მე კი ისევ, ის მახსოვს,
როგორც იყო, ისეთი,
იმ ჩემს თანატოლებთან
დიდ სიყვარულს ვიძენდი.
ერთ ეზოში ცხოვრობდა
მთელი ნათესაობა,
ეხლა შორს გაფანტულა
მომავალი თაობა.
მშრომელთ ხელი ატყვია
ბაღებსა და ვენახებს...
ჩემო ტკბილო დედულეთო,
სულ ლამაზად მენახე!

1998 წ.

* * *

სახელოვანი წინაპრის, დიდი კა-ლისტრატე სალიას ღირსეულმა შთამო-მავალმა, ბატონმა იგორ სალიამ, პატარა ხის მორებში დიდი ფანტაზია ჩააქსოვა და თავის სოფლის გზაზე დადგა ხელით ნაგები შენობა. შიგნით რომ შეიხედავ, დაინახავ დოქიდან გამომდინარე წყა-როს წყალს.

მე ხშირად დავდივარ ამ გზით, გულით დავლოცავ ასეთი ფანტაზიის შემქმნელს და ვუსურვებ ჯანმრთელობას!!!

დაღლილი მგზავრი აქ დაისვენებს,
გმადლობთო, იტყვის გულში,
თქვენ გაიხარეთ, ბატონო იგორ,
სიკეთის მარცვალს რომ თესავთ ხნულში!
აღმოცენდება ყველა სიკეთე
და გაიხარებს თესლი,
გულით გისურვეთ თქვენ ჯანმრთელობა,
როს ცივი წყალი შევსვი...
კაკლის ხეა თუ ირგვლივ ბალახი,
პატარა მიწის ადლი,
ჯვარიც გაგიკრავს... თქვენ შეგეწიოთ
მისი ლოცვა და მადლი.
ამ წყაროსავით დაუშრობელი
იყავ ანკარა, წმინდა,
მე მიმოვდივარ ამ შარაგზაზე,
გულით დაგლოცო, მინდა!
ვიცი, ვინა ხარ და ვისი მოდგმა,
თქვენი ჯილაგი, ფესვი...
ეს ცივი წყალი, მთიდან ნადენი,
უკვდავების წყლად შესვით!

2010 წ.

ზღვაო, დიდი გაქვს დანაშაული
დათო და ვახტანგ კვარაცხელიების ხსოვნას

გამოვიარე მე თქვენს ქუჩაზე,
გულმა სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა,
თავი დავხარე თქვენს საფლავის წინ,
თანაც მინდოდა რაიმე მეთქვა,
მაგრამ ცრემლები მომერია და
ავტირდი როგორც ქართველი დედა!
დიდხანს ვიდექი ჩაფიქრებული,
ნეტავ, ბიჭებო, ვინ გაგიმეტათ?!
ზღვა, ადამიანს რომ აღარ ინდობს,
იქნებ იმ წუთში გადაგავიწყდათ,
როგორ უცქერდით ძმები ერთმანეთს,
როცა სიცოცხლის ძარღვი გაგიწყდათ?!
იქნება ცურვით გადაიღალეთ,
ვერ გაუმკლავდით მძვინვარე ტალღებს,
ან იქნებ შეგრცხვათ ერთმანეთისთვის,
ზღვა მოგერიათ გუშინდელ ბალღებს.
ზღვა, ადამიანს რომ აღარ ინდობს,
ავის მქმნელს და კარგს რომ აღარ არჩევს,
ღმერთო, ძლიერო, როგორ შეხედე
ასეთი კარგი ბიჭების გამჩენს.
რომ გაიმეტე ორივე ძმები,
ნეტავ ამ სიკვდილს რაღა უწოდე?
ნუთუ, იმდენი ძალა არ გქონდა,
საშველად ხელი ვერ გაუწოდე,
ზღვაო, დიდი გაქვს დანაშაული,
ვინ გამოგიტანს მძიმე განაჩენს?
მოინანიე შენი ცოდვები,
ნუ აატირებ დედებს, დანარჩენს.

2005 წ.

არავინ მელის

მარტო ვარ სახლში, არავინ მელის,
შორით წასულან ჩემი ბიჭები,
სიბერე უკვე შემომეპარა,
მოვა სიკვდილი, დავიმიწები...
მაგრამ მანამდე ხომ უნდა გავძლო,
სახლ-კარს აკლია ვაჟკაცის ხელი,
დღე მიღამდება, ღამეს ვათენებ,
შემომწოლია ფიქრები ძველი.
და ვუმკლავდები ყველა სიძნელეს,
თუმც ჯანმრთელობა შემერყა ძლიერ,
ურემი თავზე არ გადამსვლია,
თორემ ყოველგვარ გასაჭირს ვძლიე!
კობა შორიდან მეხმიანება,
თავს გაუფრთხილდი, დედაო, მეტყვის,
მცირე ფაჩუნი მეხად ჩამესმის,
არ მეშინია ქარის და სეტყვის.
რაიმე მძიმე აღარ ასწიო, —
მირეკავს, თანაც მაფრთხილებს კავა,
ოჯახის კერას ვერ გავაცივებ,
ალბათ ლოდინი სულ მალე გავა.
ჭერქვეშ ბუდობენ ჩვენი მერცხლები,
მიხალისებენ ამ ჩემს ცხოვრებას,
გაფრინდებიან, მოფრინდებიან,
აქაურობა ემახსოვრებათ.
დამჭიკჭიკებენ დილა-საღამოს,
დღისით კი ცაში აიჭრებიან;
შორს მეგულება შვილიშვილი და
მას ენაცვალოს მედო ბებია.
მივდივარ დილით, სკოლისკენ გზა მაქვს
მოვდივარ სახლში, მარტო ვსადილობ,
კვეხნით არ ვიტყვი, კაი ქალობის
თავზე მანდილი წმინდად მანდილობს.
ყველას მიეზღო თავისი ხვედრი,
ყმაწვილ-ქალობა ვინც შემილახა,
შვილების ხათრით და შვილიშვილის
ცხოვრებას ვიწყებ ისევ ხელახლა!..

მედეა ფიფიას

ზოგჯერ პატარა წყენა
გაგათევინებს ღამეს,
ერთი უგულო სიტყვა
სიცოცხლეს გაგიმწარებს.
ერთი უთქმელი სევდა
შუბლზე დაგამჩნევს ღარებს,
ის, რაც არ ძალუძს წლებსაც,
ხან შეუძლია წამებს...
და თუ ოდესმე სიტყვა
თუკი ალალად ითქვა,
გაგებადრება სახე
თუკი სიკეთე ნახე.
დაგიბრუნდება ისევ
სიცოცხლის ნიშანწყალი,
ვით გაზაფხულის კვირტი,
გაგიბრწყინდება თვალი!

მურმან ქარაია,
მედანი

ჩვენი საუნჯე

ტიმოთესუბანი — ძეგლი მდებარეობს ბორჯომის რაიონ-ში, დათარიღებულია XIII საუკუნის დასაწყისში. გეგმით, სივრ-ცით და გარეგნული მასით უახლოვდება ბეთანიას — ქვათახევ-ფიტარეთის ჯგუფს. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი კედლის მხატვრობა, რომელიც ტაძრის აშენებისთანავეა შეს-რულებული.

ვაზის სიყვარული

დიდიმა მქვია სახელად,
ღვინორია ვარ გვარადა,
ვაზის ჯიშს ვეამბორები,
მცენარის მეფეს ბარადა.
მთელი სიცოცხლე, იცოდეთ,
ვაზმა შემიკლა ხელშია,
იმდენი ღვინოც დავლიე
ამომივიდა ყელშია.
ვაზის ნაყოფი — ყურძენი,
მისი ნაჟური წამალი,
სხვადასხვა ფერით, გემოთი
უძვირფასესი რამ არის.
.....
საქართველო — ვაზის მხარე,
ასე ძლიერ შევიყვარე,
ვაზს ვახარებ, ვენახს ვუვლი,
ყველამ ერთად გავიხარეთ!
მთელ სამყაროს მირჩევნია
ჩემი ტურფა საქართველო,
მე გთავაზობთ,
რომ წარმოვთქვათ
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელო!

დიდიკო ბოხუა

ქალბატონო ლონდა!

გულმხურვალედ გილოცავთ ლამაზ თარიღს — დაბადებიდან 70 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანის სიმტკიცეს, ბედნიერებას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას საყვარელ ადამიანებთან ერთად, იცოცხლეთ დიდხანს ჩვენდა სასიხარულოდ!

პატივისცემითა და კეთილი
სურვილებით ვალერი ძაძამია

 პოეზია

„... და იმღერება ჩემს ტაძარში ცის სალოცავი“!..

ლამზირა ფირცხალავა

რედაქციისაგან: „ნოჯიხურის“ 35-ე ნომერში დაიბეჭდა საოცრად ლირიკული განცდების პოეტის — ლამზირა ფირცხალავას ლექსები, რომელმაც მკითხველი საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია...

ლამზირა ფირცხალავას პოეზიის თაყვანისმცემელთა ინტერესებიდან გამომდინარე, რედაქცია აგრძელებს მისი ლექსების ბეჭდვას ციკლიდან: „თოვლის ქალაქი“.

ქარის პაემანი

გადაფითრდა შუა ღამე
(შენზე დარდი მაწვალებდა),
ღრუბელს ცრემლი დაუცურდა
მთვარის დახრილ წამწამებთან.
იყო ღამე, (არცა იყო),
გზებზე ნისლი დალალს ჰფენდა.
სიომ თრთოლვით ჩაიცეკვა
თეთრი არყის ხეივნებთან!
ყრუ სიჩუმე თვლემდა კართან
(მთვარე ბავშვის ღიმილს ჰგავდა),
ღამის სული მეწეოდა
ჩემი ყოფის დასაბამთან!
ვიღაც თითქოს ნისლზე იდგა
და მიქნევდა გრძნეულ მანდილს.
გაველ ჩემი სავანიდან,
ვგრძნობდი: მწყურვალ მაშვრალს ვგავდი.
გავუღიმე დაღლილ სხეულს
(შენზე დარდი მაწვალებდა).
ღრუბელს ცრემლი დაუცურდა
მთვარის დახრილ წამწამებთან.

14.05.04. მოსკოვი.

შიში

მივალ, მივსდევ უსიერს
(კუნაპეტი ღამეა),
უკან — კივის ტყის ქალი,
წინ — ცის სიკამკამეა.
უკან ეშმამ აუშვა
ჯოჯოები, მაფები.
გავექცევი სიავეს,
წყაროს დავეწაფები.
ჰა, ცოტაც და დავაღწევ,
ტყეს ვერ გალევს მდევარი.
ჭინკა აღმართს შერჩება,
ტყის მაფაა ვერავინ!..
მივალ, მომსდევს ქალშავა
ზანზალაკით, ზარებით...
გადავაგდებ სავარცხელს, —
მიიხურეთ, კარებო!..

19.07.04. მოსკოვი

მეუღლისადმი

რა არ სჯობია ამ გზაზე წრიალს,
უშენოდ ყოფნას,
ამ ტვირთის თრევას!
როდის იქნება, წავალ აქედან
და ჩემს დაქანცულ სხეულში შევალ!
თოვდა წუხელის თოვლის ქალაქში
(კვლავაც ნაღველი მოირგო ლექსმა),
თენდება... ვუმზერ შეჭირხლულ
სარკმელს,
ჩემს გულდარდიან სიყვარულს ვკემსავ!
როგორც მიწურვილ მოთმენის ფეთქვას,
კვლავაც რაღაცა სასწაულს ველი.
ნუთუ ეს იყო ღვთის განაჩენი —
გადამტვრეული პურის თაველი?!
... რა არ სჯობია ამ გზაზე წრიალს,
უშენოდ ყოფნას, ამ ტვირთის თრევას!
როდის იქნება, წავალ აქედან
და ჩემს დაქანცულ სხეულში შევალ!

11.12.02. მოსკოვი

* * *

ცოტაც და წავა დედაჩემიც!
ცოტაც და... წავა
და მე მივხვდები
ფრთებმომტვრეულ ფრინველს რომ
ვგავარ.
მივხვდები, როგორ დაცარიელდა
ქვეყანა მთელი,
ვით ჩაქრა სულში
გრძნეული შუქი ციცინათელის!
მერე სიცივე!
მერე მიწა სულ ერთი პეშვი,
პატარა ბორცვი —
გაჩხირული ეკლებად ყელში!
მამის საფლავი —
დარდის ბუდე, გვირილა კენტი,
ცხოვრების კიბე —
ტანჯვისა და ტკივილის ეტლი!
ცოტაც და წავა დედაჩემიც,
ცოტაც და წავა
და მე მივხვდები,
ფრთებმომტვრეულ ფრინველს რომ
ვგავარ.

14.02.04. მოსკოვი

სულის კარი
(თემოსადმი)

შემოიჭვრიტა ჩემს ღიობში
აპრილის დილამ
და სულის კარში სიყვარული შემოაცილა!
ახლა ხილვებში უსამანო სიმშვიდე ჰყვავის
და იმღერება ჩემს ტაძარში ცის სალოცავი.
გალობენ მტრედნი,
საგალობელს იმგვარს გალობენ,
ასე გგონია,
თვით სიცოცხლეს მიამწყალობებ!..
რა ვქნა, ძვირფასო!
ზოგჯერ დარდი იმგვარად შემშლის,
მომეჩვენება,
თვით სამყარო მთავრდება ჩემში!
მომენატრება ჩვენი ეზო,
თოთო ბალახი
და იწერება ლექსი ესე
უფლის კარნახით!..
და, ჰა, ვით იქნა,
შემოიჭვრიტა აპრილის დილამ
და სულის კარში შენზე დარდი
შემოაცილა!

20.04.03. მოსკოვი

დუმილი

დაუწერელი ლექსის სულია
თეთრი ქაღალდი
ჩემს მაგიდაზე რომ ელოდება
ბგერის გაჩენას...
ჩემი დუმილი — დუმილია
შაშვის გალობის
(იცის გამჩენმა!)
... ჩამოკრავს ჟამი,
ჟამი, როცა მე არ ვიქნები!
ასე იტყვიან:
იყოო იგი ზეცის ზიარი,
ამაყ ქეჩოებს წამოყოფენ
ცრუ ანგელოზნი
და ჩამოთვლიან ჩემი ყოფის
მიმქრალ იარებს...
... დაუწერელი ლექსის სულია
თეთრი ქაღალდი.

20.08.03. მოსკოვი

სიჭაბუკე

წააჟღარუნე სიჭაბუკევ
შენი ეჟვნები,
ზღაპრის ქალაქში
დაღლილ ფრთებით
ნუ დაეშვები!..
მიათრევს ქარი ღრუბელ-ღრუბელ
აფოფრილ ქეჩოს,
სიმშვიდის გზაზე ყრია ვარდიც,
ლერწიც და ჩენჩოც.
მეგობრის სახლში დარდიანი
შფოთავს დაირა,
ცხოვრება ესე სალექსაოდ გამეშაირა!..
არა ხამს,
ზეცის სასწაულებს ვერ შეედრები.
რაი გიხარის?!
მე ხომ ვხედავ, როგორ ბერდები,
ზღაპრის ქალაქში
დაღლილ ფრთებით
ნუღარ ეშვები.
წააჟღარუნე, სიჭაბუკევ
შენი ეჟვნები!..

2002. მოსკოვი

* * *

დაფურცლა ქარმა ჩემი ყვავილი,
შესცინა დილამ მთრთოლვარე ფოთოლს.
ცხოვრება მარტო დარდი როდია,
როდია იგი ტანჯვა და შფოთი, —
გზის გასაყართან სიმშვიდე გელის, —
შეუცნობადი წამის მშვენება;
სხეული — მიწა
მიწისკენ წავა,
სული — ზეცისკენ აესვენება...

02.05.02. მოსკოვი

* * *

გალია ამ დღემ თავის სავალი,
ღამე ჩარჩოდან გადმოიღვარა...
წახვალ, ვითარცა წასულან სხვები,
ვინც გიღალატა, ვინც შეგიყვარა!
მოისმენ შენთვის შაბათის ლოცვებს
და განილევი ზეცაში ასე;
დაგრჩება ლექსი — ობოლი კრავი
შენი სუნთქვა და შენი სისავსე.
ზოგნი სინანულს იგრძნობენ გვიან
(რაღაც პატარა სიამე ყოფნით);
გრძელდება მიწყივ მიწის სიავე,
გაუტანლობა ორგული სოფლის...

10.06.02. მოსკოვი

როგორ მინდოდა

თეთრი ნისლიდან შენს კალთაში
გადმოვივანე, უსასრულობავ!
ჰა, მონატრების დამთრგუნველი
დარდის სიმძიმე —
მოხრილი მხრები,
თვალთა ღრმულიდან უხმო ქვითინით
გამოქცეული ცრემლის სიმლაშე...
როგორ მინდოდა,
ჩემს აივანზე გლიციინიების
ჩურჩულისთვის მიმეგდო ყური,
მტრედების ღუღუნს,
ჩიტთა მესას შევგებებოდი!..
... დგას ფანჯარასთან მოწყენილი
ოჯახის მამა —
სინდისი ჩემი
და ჩემი ლექსის შორეული
მუსიკით თვრება!..

29.01.02. მოსკოვი

ზიარება

ვიცი, უღვთო ბედისწერა
ნაბიჯ-ნაბიჯ იარება...
ეს დღე ზეცის სიზმარია,
ჩემს მფარველთან ზიარება!
წამი გადის, როგორც ლოცვა,
ვზივარ, მთვარის მანდილს ვკემსავ.
სიმწრით ვფხაჭნი დარდის კედელს,
უთვალავჯერ მომკლა ლექსმა!
უთვალავჯერ ჩაილია
სულში დარდიანი შარა,
მერმე ღამემ შემივრდომა,
ზენაარმა შემიფარა!..
თუმცა ვხედავ, ბედისწერაც
ნაბიჯ-ნაბიჯ იარება,
ეს დღე ზეცის სიზმარია,
ჩემს მფარველთან ზიარება!..

25.03.03. მოსკოვი

ჩუმად

აპრილმა ჩუმად შეარხია
ნუშის ტოტები,
ჩუმად შეუჩნდა მზის ღიმილში
მთვლემარე კვირტი
სიმწვანის დედას
და ჩუმად, ჩუმად ჩამოუშალა
ოქროს დალალნი,
ავსებულიყო!
ავსებულიყო პირთამდე თასი
და დედამიწის ხელისგულზე
გადმოდიოდა...

2002. მოსკოვი

ბარათი

... შენთან აპრილის მშვიდი ღამეა
და ზღაპრად მოჩანს სოფლის სანახი...
მოირგე მხრებზე ჩემი სიზმარი,
მიწის სამოსი — მწვანე ბალახი
და დილის პირველ ჩიტებთან ერთად
ცის აივანი მორთე ბგერებით.
აჰა, დასრულდა ესე ბარათი —
ჩემი ამაყი ბედნიერება.
... ამ ბარათს მთელი სიცოცხლე ვწერდი!

07.01.02. მოსკოვი

ორსული ქალი

ბობოქრობს ჟამი — შავი ავაზა
(არა აქვს აზრი ტკივილს გამხელილს), —
დგას და მათხოვრობს ორსული ქალი,
მწყერივით ქალი უფლის სახელით..
ცხოვრება ცელავს ყელ-ყელა ბალახს,
არც ბნელია და არცა — ნათელი!
ტირის სიცოცხლე ქალის თვალებში,
სხეულში ტოკავს ბნელის გამთენი!
და მაინც ჟამი გადადის ყალყზე,
არა აქვს აზრი ტკივილს გამხელილს.
ქუჩის კუთხეში მათხოვრობს ქალი,
ორსული ქალი უფლის სახელით.

07.08.04. მოსკოვი

* * *

ჩემო მფარველო ანგელოზო,
მეოხო ჩემო,
ვგრძნობ სული ჩემი
იქვე, მაღლა შენს ფრთებზე დამრჩა!
ვცხოვრობ, სადღაცა,
უცხო კუნძულზე,
შორს არის ჩემი სამოსახლო —
ძოწი და ფარჩა.
წავიდა!
ზეცად არ მომხედა თეთრმა ღრუბელმა,
დადგა ეს ღამეც
უღვთო და ბერწი,
არცა შაშვების გალობა ისმის,
ყელყელაობა ციური ლერწმის.
ისევ ისეა ჭრილობა ძველი,
დარდი ისევე თავისას ჩემობს.
ვგრძნობ: ვარ რაღაცით შენი ზიარი,
ჩემო მფარველო ანგელოზო,
მეოხო ჩემო!

14.01.04. მოსკოვი

* * *

დგება დრო, როცა
არსაიდან ნათელი არ ჩანს
და გეჩვენება:
სული სადღაც, გზის მიღმა დაგრჩა.
იგრძნობ: უბრალოდ ხარ ნაწილი
ცოდვილი ყოფის
და მუჭა მიწა
აისად და დაისად გყოფნის.
ქილა ერბოთა აღსავალი,
სულ ერთი ქილა,
ბეწვის ხიდია გასავლელი,
ხამს იყო ფრთხილად...
წავა სუყველა.
სხვას დარჩება ბროლი და ფარჩა.
დგება დრო,
როცა არსაიდან ნათელი არ ჩანს!

01.01.04. მოსკოვი

* * *

დააზრო ქარმა!
ბალახს ფესვები დააზრო ქარმა, —
ჰა, მოცოდვილდა შემოდგომა
დარდის ქალაქში, —
ჩემი ღაღანა ეზო-ყურე ამტკივდა
სულში —
უნაპირო სამყაროს ველი!!!
ჩემი ფანჯრიდან გამოქცეული
შუქის ლაციცი —
ეძებს სამყოფელს ქარში ბუდიდან
ამოგდებული ტიტველი ბარტყი —
ეული სული.
უფალს მივანდე ყოველივე,
მივანდე უფალს!

12.07.04. მოსკოვი

* * *

შენი წყალობა გზიდან შუქის
მობრუნებაა —
მზის სარეცელზე თოთო ბავშვის —
ბგერის ჩურჩული...
მივდივარ ჩემთვის შეუცნობი ბედის
შარაზე,
საცა შური და ღვარძლი ჰყვავის,
საცა დამსხვრეულ სალამურების
გოდება ისმის.
დარდის ფერია ჩემი ზეცა —
თვალშეუდგამი უსასრულობა,
ჩემს წილ მიწაზე დაქანცული ქარავანი
მიეხეტება
და გადაცელილ ბალახების სუნით თვრება
ჭია-მაია...
შენი წყალობა გზიდან შუქის მობრუნებაა.

05.04.04. მოსკოვი

* * *

ხომ შეიძლება აპატიო, უფალო ღმერთო
მწირს, თუკი იგი ვერ გააღწევს
უსიერ ტყიდან,
თუკი არფას უკანასკნელი სიმიც დაწყდება
და ვერ ამოთქვამს თავის სათქმელს —

→ 12

11 ←

ამა ქვეყნად მოვანების უსასრულობას,
თუკი კვირტი სიცივისგან ჩაკვდება
ტევრში
და გაზაფხულს ვერ აამღერებს...
წავიდა ჩემგან დედაჩემი —
ჩემი მფარველი ანგელოზი —
სიმშვიდე ჩემი
და სიხარული გაიყოლია!...

12.06.04. მოსკოვი

* * *

სასაცილოა უმეცრება,
ის ვერ აინთებს სულში ჩირაღდნებს —
აპრილისპირზე –
კუტკალიების სიმღერებით
გაბრუებულ სიყრმის ეზოში
ჭიატ-ჭიატით გაელვებულ
ციცინათელებს...
ველარ მოისმენს
ბალახის დახრილ ფოთლიდან
ნამის უჩუმარ წანწკარს,
ქარში — ნიავის გაფაჩუნებას!..
სასაცილოა უმეცრება!

19.04.02. მოსკოვი

* * *

სდუმან ჩიტები.
ვიწრო შუკაში
ჩარეკეს უკვე ბოლო ნახირი.
ყრმობის კედელზე კიდევ ერთი
თარიღი გაჩნდა,
კიდევ ერთი უცხო თარიღი —
დღე დაბადების
და გამახსენდა
ბავშვობის ჭერქვეშ დაბუდებული
ღამის ჩურჩული...
გრძელდება ჩემი იდილია,
ვიწრო შუკაში ჩარეკეს უკვე
ბოლო ნახირი
და მამისეულ სახლის ეზოში,
ვარსკვლავებით სავსე ჭის ფსკერზე
მთვარემ ლამაზად ჩაიღიმილა...
სდუმან ჩიტები...

2002. მოსკოვი

უსასრულობა

აჰა, მოვედი!
ღრუბლის ფრთაზე მოვიკალათე
და მოხასხასე ბალახის ტევრში
ჩავლიე ბგერა, შეუცნობადი,
თავისთავადი.
უნდა იცოცხლო,
რამეთუ ასე დასჯი სიძულვილს!..
მიდის ყოველი მოუქანცველად,
უსასრულო ერთფეროვნებით
და იცი, ველარ შეაჩერებ
მარად მბორგავი ტალღის ჩქერალით
გადაქანცული მდინარის სუნთქვას.
მიდის ყოველი შეუქცევლად!..

19.02.02. მოსკოვი

* * *

ვერა ძვირფასო! ამ სიმღერას მე ვერ
გიმღერებ!
ეს ხმა ნისლეთის გალობაა,
გულდარდიანი მიწის ძახილი —
ჟამიდან ჟამად ცის სიბლანტეს რომ
გაექცევა
და შაშვის ფრთაზე
დაღლილი რომ მოიკალათებს...
მე არ მეყოფა ძალა ამისთვის!
ჩემს ღვთაებას მავედრებლად მივეახლები,
ავანთებ სანთელს
და ბუხრის თავზე ჩამოვდებ რიდით...
შემდეგ ბუხრიდან ჩემი წილი ცა
ჩამომხედავს, მომაპყრობს თვალებს
და საიდუმლოდ გამიხმობს გარეთ...
ვერა ძვირფასო!
ამ სიმღერას მე ვერ გიმღერებ...

04.10.01. მოსკოვი

* * *

მე მიკვირს შენი უსასრულო
ფერიცვალება, —
მინდა ერდოზე დაგისახლდე,
ტაძრის კარიბჭეს ლოცვა-ლოცვით
შემოვუარო
და წუთით მაინც დაგიამო ჭრილობა შენი,
ქვეყანავ ჩემო!
აურაცხელი შუქი ციაგებს
მზის ჩასავალთან —
გადამსხვრეული სალამურების უთქმელი
ვნება —
ადრე წასულთა სურვილების უნაპირობა!..
ველარ გაიგებ, ამ ზღვარს იქით
რაღა იქნება!..
და ისმის მიწყივ მოგუდული ზარების
რეკვა, —
გამთენიის გარდუვალობა!
მე მიკვირს შენი უსასრულო
ფერიცვალება!

12.10.01. მოსკოვი

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ



რამინ საჯაია — 60

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს დაბადებიდან ექვსი ათეული წელი შეუსრულდა ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს — რამინ შალვას ძე საჯაიას.

რამინ საჯაია დაიბადა 1956 წლის 20 სექტემბერს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში (ჯაღირის უბანში). სწავლობდა ჯაღირის არასრულ და ობუჯის საშუალო სკოლებში.

რამინ საჯაიამ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში ტექნიკურ რედაქტორად.

რამინ საჯაია XX საუკუნის 90-იან წლებში რედაქტორობდა თავისუფალ ლიტერატურულ გაზეთ „მესამე გზას“, შემდეგ მუშაობდა ჟურნალ „თავისუფალი თემის“ მხატვრულ რედაქტორად.

მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ორი პოეტური კრებულის ავტორია — „შეშლილი ღრუბლები“ და „უდაბნო“.

„ნოჯიხური“ ულოცავს ბატონ რამინს იუბილეს, უსურვებს მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას, ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს მისი შემოქმედებიდან.

* * *

ნაზი თმების სურნელი
ჩემი სუნთქვის მეზღაპრე,
ზღაპრული მაქვს სურვილი,
ზღაპრულია ეს ღამე!..
თასი ღვინით შემივსეთ,
ვლოცავ ბედის განაჩენს...
მე განგიცდი შენ ისე,
როგორც სულის გადამრჩენს.
არის რაღაც ახალი,
არის რაღაც კვეთება,
არის რასაც დაჰხარი
მზედ რომ ტანზე გედება...
ნაზი თმების სურნელი
ჩემი სუნთქვის მეზღაპრე,
ზღაპრული მაქვს სურვილი,
ზღაპრულია ეს ღამე!..

იქნებ

გულდამწვარი მივაბიჯებ მარტო,
თავს მაბეზრებს ბედისწერის არა...
მოგონილი დარი ველარ მართობს,
ავადა ვარ, დემონებო — კმარა!..
მეგობარი თანაგრძნობით მიმზერს,
ჩემს დასისხლულ ჰანგებს ისმენს როცა...
ახლა ვდგავარ საუფსკრულე ქიმზე,
იქნებ დედის მომეშველოს ლოცვა.

* * *

ვერაფრით ვუძლებ
მე შენს სინაზეს,
მე უნდა შევსვა
შენი ტუჩები...
მერე გავწვები
ზღვის ცხელ სილაზე
და ცის გვირილით გავირუჯები.

მიუსაფარი

მწუხარე ფერი დაეშვა ციდან,
ქარში აკვნესდა ბაღი ედემის...
შენს ცხელ მზერაში შუქი გაცივდა
და უკვე აღარ მეიმედები!..
მწარე სასჯელი მაგიჟებს ჩემი,
კიდევ სიცივე!..
კიდევ ზამთარი!..
მთელი სიცოცხლე, ნუთუ, დავრჩები
მარტოსული და მიუსაფარი?!.

მე შენში ვსახლობ...

მე შენში ვსახლობ, შენ კიდევ ჩემში,
წამი, წუთები რბიან ლანდებად,
დღე ემსგავსება ვნებებით შეშლილს,
ქარების ქროლვა აღარ თავდება.
სინათლის სვეტით ბურუსი ვძლიე,
(თუმცა ამინდის შეცვლას სულ ველი...)
მიყვარხარ ძლიერ!.. მიყვარხარ ძლიერ!..
ვით მოყვავილე ვაზის სურნელი.

* * *

თითქოსდა გული, უკვე, მკვდარია,
თითქოსდა გული ჩემში არ არი...
— ოხ, ეს ამინდიც რაღამ არია,
გავცქერი გზას და არ ჩანს არავინ.
მე დავიქანცე ბედის უარით,
სული შეშალა მწარე ფიქრებმა,
დღე დღევანდელი ასე თუ არი,
ნეტავი, ხვალეც ასე იქნება?!

* * *

გზადაბნეული შენსკენ მოვდივარ,
თუმც, ახლა, უკვე ველარ მიშველი,
ცრემლს აჟღერებულს მწუხრის მოტივად,
მზის გულზე მიდევს გული შიშველი,
ვერ ვესათუთე სულის სინათლეს,
მეგონა, სულელს, დრო ბევრს მაცლიდა...
მაშინ ვიგრძენი მწარე სიმართლე,
წარმოუდგენლად როცა აცივდა!..
მეგონა, სულელს, დრო ბევრს მაცლიდა.

შენი სახე

ღამეული ჩვენებების გრადაციამ
შენი სახე იდუმალი მტვრად აქცია...
განწირული ვიარები მარტოდ მარტო
უსამანო გულის მკვლელი დარდი მათოვს.
აღდგომის მზე დაშლილია ნაწილებად
და მას უწევს ბოლო გზაზე გაცილება...
უსვენრობის ქარიშხალი დამდევს
სულ თან,
ალბათ, ამ ბედს ჩემი ჯვარცმა ასე სურდა.
ღამეული ჩვენებების გრადაციამ
შენი სახე იდუმალი მტვრად აქცია.

* * *

გადაითელა ოცნება ფეხით,
ამოცისფერდა სულში ია როს!..
(ეს ისეთია დაგეცეს მეხი,
ან მზემ წამით რომ დაიგვიანოს!)

* * *

მე მზეს მივუძღვნი მადლობას,
ხელდება ხელი ხორუმი,
მიყვარს მიმინოს მალობა,
ქორის ქროლება ქორული.

შავი ბედი

ცა შეპირქუშდა, ალბათ, იწვიმებს,
შავ ძაძებშია ჩემი ოცნება...
რა მტანჯველია სულის, ვიცი მე,
მწუხარე ნისლი გულში როს წვება.
ასეა სუნთქვა ბედი ტირანის,
ძლივს მოსულ აპრილს გიკლავს ელდებით,
ისმის ჩონგურის ჰანგი მტირალი —
მიყვარხარ დღეო და რად ბნელდებით?!

არ ჩანს საშველი მოკლულ სულის

ვაზის მისტიურ ცრემლს ვეწაფები,
როგორც საყვარელ ქალის ბაგეებს,
იბინდებიან ბნელი წამები,
თუმცა ხვალე შხამს ისევ მაგემებს.
გაძლებაზეა ფხიზელი მზერა,
ქაოსის ნისლით ვარ შესუდრული,
დასავანებელს ამაოდ ვზვერავ,
სიმშვიდის კარებს ადევს ურდული!..

* * *

აღარ მესმინა ციური ლოცვა?
განვშორებოდი იისფერ ეკვდერს?!
— შევძლებდი ამას?! ფერები როცა
ჩემს განაჩენის ზარებად რეკდნენ!!!

* * *

წყეულიმც იყავ სულო კაენის,
რომ იზმორები ცოდვის აჩრდილად.
ლანდს ვხედავ შენგან წითლად გაფერილს,
მიმწუხრის ღრუბლებს ცად რომ აშლილან.

* * *

დღეს აფროდიტა ძელზე გასმული,
იცლება ცრემლის ნიაღვარებად,
მას აგონდება დრო გარდასული,
სად წრფელი სუნთქვის იყო ხარება!

* * *

კივის წკვარამი ბუს გაცხარებით,
ირგვლივ ფერია ამსკდარ იელის...
არ ვიცი, იქნებ, ეს მასხარები
ელიან იღბალს მაგდალინელის!

* * *

ჩემო ცაიშო, ვარ მე დაღლილი,
მაყურებელი უცხო ფრესკების...
მზის სიმხურვალეს ჰაერში ჩაღვრილს
შენს ნაზ ბაგეებს დავესესხები...

* * *

გავეთიშები საშინელ ხილვებს...
მაგრამ უსახო არის ყოველი,
შეშლილი ვნება ისევ იელვებს
და დამშვიდებას რისთვის მოველი.

* * *

გთხოვ, ვინც უსაზღვრო ბინდში რიალებ,
დაიცავ ჩემი წმინდა მზის კერა,
რომ შუმი ღვინით სავსე ფიალებს
შემოვაფრინო წყაროს სიმღერა!..

არ მიცხოვრია წუთი არც ერთი...

მე ვიფერფლები უცნობი ალით,
— ისე მაქანებს, როგორც ვარდს ქარი,
შენთან ყოველი შეხვედრა არის,
პირველი კოცნის გულის ფანცქალი.
თითქოს მგონია, სულო, უშენოდ
არ მიცხოვრია წუთი არც ერთი.
იდუმალი ცის სხივო უშრეტო,
საით წამიყვანს გრძნობა ასეთი?!

ჭიდილი

ირყევა ჩემი ოხვამეს ფუძე,
უნდა გაუძლოს ამ გულმა რამდენს,
ცისფერ ქალს მკერდზე სატანა უწევს,
ო, რა შორია მზეო შენამდე!..
მძლავრი წყურვილი მიათრევს ცხედარს,
რომ უდაბნოში გადარჩეს სული.
მწარე ჰანგების ცეცხლი არ ცხრება
და კივის ქარი წარღვნად მოსული.

დანიელ ფიფია

მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №№18, 19, 22, 23, 27, 29, 32, 33).

ღ

ღა — რტო
ღაზახალა — ვაჟკაცობა
ღაზახი — გლეხი
ღალა — ცოფიანი
ღანჭი — აბრეშუმის ჭია
ღაჰ — არა
ღელენი — ღრიალი, ყვირილი
ღენჯალა — მიყოლა
ღვა — შუბლი
ღვაეკორჩხილი — უსირცხვილო
ღვალმინთა — პიტნა
ღვარია — ყვავი
ღვარჩე — თეთრშუბლა, იხ. აფანი
ღვაშიჭარა — ბედისწერა
ღვაჯა—ყვერა
ღვაჯი — ყვერი
ღვერე — ბრმა
ღვიბალი —
ღვილირი — მოკლული
ღვილუა — მოკვლა
ღვინგი — კისერი, კეფა
ღვინთაფი, ღვინტაფი — თვლემა
ღიდირი — ყიდვა
ღილო — ვეფხვი
ღინი — ცივი
ღინტ — კრინტი
ღოთამა — გასროლა
ღონაფა — გაყოლა
ღონაფა — წაყვანა
ღონიერი — მოსული
ღონილი — ნამყენი
ღონუა — მყნა
ღორადილი — დამპალი
ღოროფა — სიყვარული
ღოროფილი — საყვარელი
ღოროფილო — სიყვარულით
ღოფიერი — მოსული, მოსავლიანი
ღუბერი — ყურძნის მარცვალი
ღუდე — სახლი
ღუმენი — წყურვილი
ღუმენული — მწყურვალი
ღუმური — ტყემალი
ღუნაფა — წაყვანა
ღუნგა — ყრუ
ღურაფი — ყმუილი
ღურე — კენ
ღურუ — უჭკუო
ღურუმი — სიპი
ღორში — კოშკი
ღუჯელი — დიდი ქოთნის სახელი
ღუჯი — ყური
ღუჯიში მიკოდგუმა — ხრიკები
ღუჰ! — ოხ!

შ

შალამა — ყინულის თოში
შამკო —
შანუა — 1. დანიშვნა;
2. ამოშრობა.
შარტე — (ავადმყოფობა)
შაშმათი — მკვირცხლი
შაშუა — დასველება, გაჟღენთვა
შახგ — ჯერ
შელებური — შეძლებული
შემამძემა — მოწიწებით
შეღერი — ლერწი
შეწამაფა — ცუდი ამბის შეტყობინება
შეჰებული — დასუსტებული
შვანი — დრო
შვაპილი — დასველებული
შვება — ხალვათი
შველა — გველხოკერა
შველაია — მოქნილი
შველება — მორჩენა
შვეტერია —
შვინგალი — მაღალი
შვიტალი —
შიბილი — დაწნული
შივინი —
შილიფო — იხ. ლაფარი
შინა — ხსოვნა, ახსოვთ
შინაფა — დასიება
შინგიშიფერი — შავგვრემანი
შინერება — დასაშვები ღვთისაგან, ღვთის ნება
შინთალი — გრძელი
შინი — ხსენება
შირილი — გაცვეთილი
შირუა — გაცვეთა
შირშინი — ქშინვა
შოლუა — დასველება
შონე — სვანეთი
შონი — სვანი
შორდი — ფოთლიანი შტო
შორტი —
შუ — ახსოვს
შუკა — ვიწრო გზა, ვიწრო ქუჩა
შუკოჩია — მეგრულად მათუსალა, დიდი ხნის კაცი
შულადა — დაღლა
შულადირი — დაღლილი
შული — წილი საამხანაგო
შუმა — სმა
შუმაფა — დათრობა
შუმილი — მთვრალი
შურეფი — სულების დღე, აღდგომის მეორე დღე
შური — 1. სული; 2. სუნი
შურიკია — სულიკო
შურიხინწი —
შურაფა (შურუა) — დაყნოსვა
შურუბუმობა — დიდი ხუთშაბთი
შქა — შუა
შქაკოჩი — შუა ხნის კაცი
შქაშიმალ — შუამავალი
შქახანი — შუახანი
შქვიდა — დახრჩობა
შქვიდაფა — დახრჩობა
შქვიდელი — დამხრჩვალი
შქვილი — მშვილდი
შქვითული — შვიდეული
შქვიდაფა — კადრება
შქირატა — ჩაქრობა
შქირატილი — ჩამქრალი
შქირენი — შიმშილი
შქურინი — შიში
შქურონჯა — შიშიანობა
შხამარა — მწარე (შხამი)
შხვაში თური — უცხო
შხილინი — ქნევა
შხუ — მსხვილი
შხგ — ბლომად არიან
შხუნა — უტეხი ადგილი, ყამირი
შხურგინი —
შხური — ცხვარი
შხურინაფა — შეწვა

ჩ

ჩაბაქია — სქელი
ჩაკალი —
ჩალა — გლახა, ქალაჩუნა
ჩალამი — კულამი — ერთგვარი სასმისი
ჩალახვეტი —
ჩალუა — დაცლა, ხელის შეშლა
ჩამა — ჭმევინება, დალევინება
ჩამადი — პაპის მამა
ჩამიერი — პურადი
ჩამინი — კბენა
ჩამინი — ქავილი
ჩანა — ნაყოფის მოსხმა
ჩანთუა — წიხლის კვრა, პანღურის ამოკვრა
ჩანკითი — ცერი
ჩარგაზუა — გაქელვა
ჩართი — კიბე
ჩარქამი (ოსარე) — ორივე მხრივ შეჭრილი
ჩარქუა — გადაწონვა
ჩარცხა — მოშორება
ჩაფარია — სიმინდის ღეროსაგნ მოღობილი ადგილი
ჩაფლა — 1. ქალამანი, ფეხსაცმელი;
2. ქრთამი
ჩაჩუა — გაცეხვა
ჩაცვირი — ჩოთირი
ჩაყვა — ხის ღრმა, ხელიანი თეფში
ჩახვია — ჩანთა, ტომსიკა
ჩე — თეთრი
ჩელეხო — ბლომად
ჩენჩი (ო) — ქატო
ჩერია — თითისტარი
ჩერეზინი —
ჩერეხი — ნალეკი
ჩერჩელი — თრევა
ჩეჟიერი — სასიკეთო
ჩეში — თეთრეული
ჩეჩმა — ფეხის ალაგი
ჩეჩმანი — ქერა
ჩეჭიფეში — ვაზის ჯიში
ჩეჯა — ვერხვი
ჩვამა — ყანჩა
ჩვარჩვალუა – დაწვა, გარუჯვა
ჩვინგა (ჩუნგა) — სულელი
ჩვინგალი — უშნო
ჩვირთუა — ცუდად შეკერვა
ჩვიჩვინაფილი — დამჭკნარი
ჩიბე — იხ. ბეჩა
ჩიება — ლაპარაკი
ჩილათირი — შემცდარი
ჩილამური —ცრემლი
ჩილათა — შეცდომა
ჩილი — ცოლი
ჩინა — შეთვლა
ჩინგალი — უზრდელი
ჩინება — ცნობა
ჩინოდუა — დამაკება
ჩინჩი — წვრილი გროში
ჩიორი —
ჩირქე — ფეხი
ჩიქვი — ჩხიკვი
ჩიჩიე — გლახა
ჩიჩინაფალი — გამხმარი
ჩიჩიხი — ბამბის გასაპენტი
ჩიყვი (ჩიყვაყვი) — ჩინჩახვი
ჩიღონი — ცხვირის დაცემინება
ჩიჩუა — დედალ-მამალი ფრინველების შეერთება
ჩოლამა — მოცლა
ჩოლამირი — მოცლილი
ჩონჩი — ბინძური
ჩუალა — შენახვა
ჩუანი — ქვაბი
ჩულაღია — მჩატე
ჩუთუ — ცვედანი
ჩუნაფა — ხარშვისას ჩაშუშვა (ღომის)
ჩურუა — ცურვა
ჩუპა — ჭიპი
ჩქი — ჩვენ
ჩქიმი — ჩემი
ჩქვა — ეშვი
ჩქვალა — ნორჩი
ჩქონი — პატარა კუნძული
ჩქუმალა — წარგზავნა
ჩგრე — ტალახი
ჩგჩქგ — ბავშვი
ჩგჩქონუა — თქვლეფა
ჩხგ — ბურვაკი
ჩხანა — მზიანობა
ჩხაპალი — წვრილი წვიმა
ჩხაფა — ხანის სიმეტე
ჩხე — ცხელი
ჩხეშა — გავა
ჩხვარუა — დაცეხვა
ჩხვერე — (ავადმყოფობა)
ჩხვერი — ფეტვი
ჩხვინდი — ცხვირი
ჩხომელი — სათევზაო პატარა ნავი
ჩხომი — თევზი
ჩხონაფა — ცხონება
ჩხონჩხი — ღვიძლი
ჩხორია — სხივი
ჩხორო — ცხრა
ჩხოტა — დაშვებული
ჩხოტუა — გაჩეხვა
ჩხოუ — ძროხა
ჩხურუ — სიცივე

ცა

ცააშხა — ხუთშაბათი
ცანცალი — ცახცახი
ცაფა — ერთი წყება
ცაცაფი — ნელი ხმაურობა
ცაცაფი — ნელინელ სიარული
ცაცინი — მოუსვენრობა
ცაცხამუტი — მარჯვე
ცე — ხეა ერთგვარი
ცეში — ცვანგუა — კენკვა
ცვარი — წვეთი
ციბა — კატა
ციკალი — გაშვერილი
ციკინაფა — გაშვერა
ციმუ — ოფლი
ცინდალი — კნუტი
ცირა — ქალიშვილი
ცირაღილი — მშიშარა
ცირქალი —
ციცხოლირი — ფორებიანი
ცონცი — ნამცეცი
ცორქო — ვიწრო
ცოცო — პატარა ქოთანი
ცუნჯი (ცუნდი) — ნამი
ცუნდუა — დანამვა
ცურუ — სურო
ცქვარაფი —
ცქვაფა — ქება
ცქინცქ —
ცქირა —
ცქიმუნტური — ზღმარტლი
ცხაბარუა — გაკაწრვა, კაწვრა
ცხვანე — ჭაღარა
ცხვანტი — ყველისა და ხორბლის მატლი
ცხვინჯი — სხვენი
ცხირუა — ძუის დაგება
ცხუკე — ხმელი
ცხუმინი — შუშხუნი

(გაგრძელება იქნება)

თავისუფალ ხელოვანთა სივრცეები

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“...



ობუჯელებს ზეცამ კალთა
დაგვაბერტყა,
საოცარი განძისა ვართ
ჩვენ მფლობელნი...

მართლაც ასეა. იმდენი გამოჩენილი და ნიჭიერი ადამიანი, რამდენიც ამ სოფელში აღიზარდა, მთელ რაიონს დაამშვენებდა. დღეს ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ.

მამუკა ვაჟას ძე კაკაჩია დაიბადა 1960 წელს, ობუჯში.

1967-77 წლებში სწავლობდა ობუჯის საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჩხოროწყუს მექანიკურ ტექნიკუმში. 1982-87 წლებში სწავლობდა კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე.

მამუკა ჯერ კიდევ სკოლაში გამოირჩეოდა რეალობის განსაკუთრებულად დანახვის უნარითა და ლამაზი ნამუშევრების შექმნის ნიჭით. მის მიერ დახატული სურათები, პლასტელინისგან გამოძერწილი თუ კენჭებისგან აგებული ფიგურები არაერთხელ ყოფილა რაიონში, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე მოწონების საგანი.

მახსოვს, როგორი აღტაცებით ათვალიერებდნენ წალენჯიხაში, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე, მის მიერ კენჭებით შექმნილ „ნოჯიხურის“ მაკეტს. ის იყო სკოლის პიონერთა და შემდეგ კი კომკავშირელთა გაზეთების მხატვრულად გამფორმებელი.

ნათქვამია, ნიჭი თავს არ დაიკარგავსო და ასეცაა. სპეციალურად არსად არ უსწავლია მამუკას არც ხატვა, არც ხეზე, არც ქვაზე კვეთა თუ ქარგვა, მაგრამ მისი ნამუშევრები ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრების გვერდით მოიწონებენ თავს.

როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებს, ახლაც ხან ფუნჯი უჭირავს ხელში, ხან დანა და ხანაც ნემსი. საღებავებით შესრულებულ ნახატებს ტოლს არ უდებენ ნემსით ნაქარგი სურათები, ხოლო ხეზე ნაკეთობები თუ ხისგან დამზადებული ნივთები აღფრთოვანებას განაცდევინებს მნახველს.

აქვს ორმოცდაათამდე შესანიშნავი ნამუშევარი ტილოზე. ორიგინალური ხერხით შესრულებული ნაქარგი „ნახატები“. ხისგან გამოთლილი ფიგურები კი ნებისმიერ გამოფენას დაამშვენებდა.

მამუკას ნიჭის უტყვი მოწმეები არიან ობუჯის ეკლესიის ჩუქურთმები. მის საჭრეთელს საოცრად ნატიფი და ლამაზი ხვეულები ჩაუწნავს ერთმანეთში. თავს იწონებს უცხოდ გამოკვეთილი ჯვარი თუ ვაზის მტევნები.

დასანანია, რომ მამუკას შემოქმედებას არ იცნობს ფართო საზოგადოება. ჯერჯერობით მხოლოდ მის სახლში შეიძლება ამ სილამაზის ნახვა.

ვუსურვოთ მას, არ განელებოდეს შემოქმედებითი წვა და მისი ნამუშევრებით მალე დამტკბარიყოს მნახველი.

მანანა კაკაჩია



ფურცლები ობუჯის ისტორიიდან

იყო დრო, როცა შრომას სახელი და დიდება მოჰქონდა!
სოციალისტური შრომის გმირები და ლენინის ორდენოსნები ობუჯიდან:



ივანე (ვანო) აბრამია (1910-1971); (სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 1946 წელს)

ლეონტი (ჯაგა) კილავა (1922-1985); (სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 1947 წელს)

მარიამ (მარუსია) შენგელაია (1914-1991); (სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 1948 წელს; იმავე წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა)



ანასტასია (ნასტა) ჯანჯღავა (1891-1994); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1949 წელს)



ჯვებე კაკაჩია (1898-1988); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1949 წელს)



ივანე (ვანო) კაკაჩია (1900-1982); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1950 წელს)



აკაკი დიტოს ძე ხარჩილავა (1914-1974); (ორჯერ — 1949 და 1957 წლებში დაჯილდოვდა ლენინის ორდენით)

ლილი ძაძამია (1902-1982); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1951 წელს)

არიადინა სარია (დ. 1932); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1952 წელს)

ლუბა მარღია (1920-2016); (ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1977 წელს)

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ № 29,31, 32, 33, 34, 35, 36, 37).

ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეეწირა...
საქართველო არ დაივიწყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვაწლს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი

ვახტანგ პეტრეს ძე ქანთარია — დაიბადა 1956 წელს ზუგდიდში. გაიზარდა ობლობაში. იბრძოდა კანონიერების აღდგენისათვის, მონაწილეობდა წალენჯიხის ბრძოლაში. დაიღუპა 1992 წლის 6 ივლისს მხედრიონთან შეტაკებისას.

დარჩა მოხუცი დედა.

მიმოზა ჯანაშია-შელია — დაიბადა 1948 წლის 14 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. 1992 წლის 9 თებერვალს წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში მიმოზას ოჯახს თავს დაესხნენ „მხედრიონელთა“ ბანდები. პირველივე გასროლით მოკლეს მიმოზა, ორი შვილის დედა, მისი მეუღლე, ზაურ შელია კი დაჭრეს...

მამუკა ალიოშას ძე ქარდავა — დაიბადა 1961 წლის 26 მარტს ზუგდიდში. იყო კეთილი, უანგარო, გულისხმიერი ადამიანი. 1992 წლის 28 იანვარს ხუნტის ჯალათებმა მშვიდობიან მომიტინგეებს სროლა აუტეხეს. ზუგდიდელები შიშველი ხელებით წინ აღუდგა მათ. მამუკას თავისი მანქანით ხალხი გადაჰყავდა, როცა არაკაცმა ტყვიით განგმირა.

დარჩა მეუღლე და ქალ-ვაჟი.



შაქრო ბიქტორის ძე შიშინაშვილი — დაიბადა 1930 წელს ამბროლაურში. ცხოვრობდა ზუგდიდში. კანონიერების აქტიური მომხრე იყო. 1992 წლის 7 ივლისს ზუგდიდის ცენტრში ვერტმფრენიდან ჩამოსულმა „მხედრიონელებმა“ ხელი მიჰყვეს მანქანების წართმევა-გატაცებას... შაქრო შეეწინააღმდეგა მომხვდურთ სიტყვებით: „როგორ არ გრცხვენიათ, რას შვრებით“! და პირველი ტყვიის მსხვერპლი გახდა... დარჩა ცოლ-შვილი.

თამაზ როგავა — დაიბადა 1956 წელს ქ. ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში. 1989 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო ბატალიონ „ჯიხას“ წევრი. 1993 წელს ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა. დარჩა მეუღლე და ქალიშვილი.



უსუპ ორდენის ძე ხაზალია — დაიბადა 1963 წლის 23 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში. 1992 წლის იანვარში მოხალისედ ჩაირიცხა ეროვნულ გვარდიაში და იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად. პირველი ჭრილობა თავის არეში აბაშაში მიიღო, მაგრამ გადარჩა.

1992 წლის 10 ნოემბერს სამხედრო დავალების შესრულებისას დაიღუპა. დარჩა ცოლ-შვილი.

თემურ ვარლამის ძე შამათავა — დაიბადა 1959 წლის 7 მარტს ქ. ზუგდიდში. 1991 წლის 21 აგვისტოს მანქანით მგზავრობისას ხობის გზაზე, სოფელ პირველმაისთან ცეცხლი დაუშინეს ხუნტისტებმა და ჩაცხრილული იქვე მიატოვეს. 7 დღე ებრძოდა თემური სიკვდილს... დარჩა მეუღლე და ორი შვილი.



ჯუმბერ ილიკოს ძე ხურცილავა — დაიბადა 1956 წელს ქ. ზუგდიდში. დაამთავრა ინგირის საშუალო სკოლა. ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაება. 1992 წლიდან ეროვნული გვარდიის წევრი იყო. იცავდა კანონიერ ხელისუფლებას. 1992 წლის 24 ივლისს სამხედრო დავალების შესრულებისას დაიღუპა.



ჯემალ ვენეტრეს ძე შამათავა — დაიბადა 1964 წლის 25 სექტემბერს ქ. ზუგდიდში. იყო ჰელსინკის კავშირის წევრი. 1988 წლიდან ყველა საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. იყო კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი. დაიღუპა 1993 წლის ოქტომბერში მალთაყვასთან ხუნტის ბანდებთან ბრძოლაში.



როლანდ (ვიტია) ილიკოს ძე ხურცილავა — დაიბადა 1955 წელს ქ. ზუგდიდში. ორ დაობლებულ ბავშვს ზრდიდა. იყო კანონიერი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი, ებრძოდა უსამართლობას. მონაწილეობდა აბაშისა და წალენჯიხის ბრძოლებში. 1992 წლის 30 სექტემბერს „მხედრიონთან“ შეტაკებისას ხობში ტყვედ ჩავარდა. სასტიკი წამებით მოკლეს: გადაუმტვრიეს ფეხები, ჩაულეწეს ნეკნები, დაუსერეს სახე და დაცხრილეს.

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია).

რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება)

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲚᲐᲚᲘ!

50 წელი შეუსრულდა ობუჯის ლეო ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეს, ქალბატონ ლალი ხვიჩავას.

ქალბატონი ლალი ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანია, არის ერთგული მეუღლე, სამი შვილის დედა და სამი შვილიშვილის მოსიყვარულე ბებია.

ის ცხოვრებაში ძალზე პოზიტიური პიროვნებაა, იცის თავისი საქმე და იხარჯება სულიერი ამაღლებისა და სიკეთისთვის.

არც ისე მცირე დროა 34 წელიწადი იმუშაო ერთსა და იმავე სფეროში და არც ერთხელ არ მიიღო შენიშვნა კულტურის განყოფილებისგან. ქალბატონი ლალი რამდენიმე წელიწადი ინახავდა ბიბლიოთეკის წიგნებს საკუთარ ოჯახში ძნელბედობის ჟამს, ასევე მუზეუმის ექსპონატებს, რათა მომავალი თაობისთვის არ დაეკარგა და შემოენახა ის სულიერი და მატერიალური ღირებულებები!

გულწრფელი მადლობა თქვენ, ჩვენო უბერებელო, სულით ბრწყინვალე ქალბატონო ლალი, მუდამ ასეთი ახალგაზრდული შემართებით გაგეგრძელებინოთ თქვენი პროფესიული საქმიანობა.

დიდი სიყვარულით, წალენჯიხის კულტურის ცენტრი.

ᲚᲐᲠᲐᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

გულვარდ ალიოშას ძე კაკაჩია საოცარი შინაგანი სიკეთით იყო გამორჩეული. მან კაცურ-კაცობით იცხოვრა, ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით და განგების ნებით მარადისობას შეუერთდა...

რა სწრაფად გარბის დრო, 9 წელი იწურება ნოემბერში, რაც ის ჩვენს გვერდით აღარ არის, ჩვენს გულებს აკლია, არ ვისმენთ მის მხიარულ შეძახილს, არ ვგრძნობთ იმ სითბოს, რომელსაც ის კოლეგების, მეგობრების მიმართ გამოხატავდა... რა მწარეა ბედის განაჩენი!...

გულვარდი მე-5 კლასში მასწავლიდა ისტორიას. სწორედ აქედან იღებს სათავეს, ჩემი ქვეყნის დიდებული წარსულის, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და მამულისადმი თავდადების შესწავლისა და შემეცნების დაუოკებელი სურვილი...

წლების მერე ჩვენ კოლეგები გავხდით. მიუხედავად ამისა, მე ყოველთვის მქონდა დიდი მოწიწების გრძნობა მის მიმართ.

თავისი ცხოვრებით კეთილი კვალი დატოვა სანათესაოსა თუ ნაცნობ-მეგობრებში. ყველას გული ატკინა მისმა გარდაცვალებამ, რამეთუ გულვარდი იყო ოჯახის ტრადიციების, ქართული სტუმართმოყვარეობისა და მოყვასისადმი თანადგომის საუკეთესო მაგალითების მიმცემი ყველასათვის.

მის ოჯახში გრძელდება სიცოცხლე და მისი მემკვიდრე ვალერი აგრძელებს მამის ტრადიციებს, ქალბატონი დოდო უვლის ერთგული მეუღლის წმინდა საფლავს და სულის სიღრმიდან მონაწურ ცრემლებს აფრქვევს...

გულვარდ კაკაჩიას მოსაგონარი კანდელი არასოდეს ჩაქრება. ზეციერმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი! ამინ!

ვალერი ძაძამია

ᲙᲐᲪᲗ ᲠᲐᲡ ᲒᲘᲨᲕᲔᲚᲘᲗ ᲩᲘᲜᲔᲑᲘ, ᲜᲐᲛᲣᲡᲖᲔ ᲗᲣ ᲮᲐᲠᲗ ᲥᲔᲡᲔᲤᲐᲓ?!



ᲞᲣᲢᲩᲘᲡᲢᲔᲑᲘ:

ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი.

ᲥᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

ᲥᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲮᲐᲠ, ᲡᲕᲔᲢᲐ!

სვეტა ბოხუა თავისი არსებობით შნოსა და ლაზათს გვმატებდა მეგობრებს. ტკბილ-მწარე მოგონებებითა და მონატრებით ორმოცი დღე გადის, რაც დაგვტოვე და სასუფეველში გადაინაცვლე. ძალიან გვიმძიმს შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ღვთის ნება ასეთი ყოფილა.

უდროოდ დასრულდა შენი ხალისიანი, სიყვარულით აღსავსე სიცოცხლე. მეორე ოპერაცია ვერ გადაიტანე და შვილებს, მეუღლეს, შვილიშვილებს, რძალს, მთელ ნათესაობას, მეგობრებს სიკვდილის მთელი სიმძიმე შემოაპარე.

იყავი შესანიშნავი მეუღლე, დედა, ბებია, ღირსეულად იცხოვრე, წახვედი და დატოვე სუფთა, შეუბღალავი სახელი, დიდი ტკივილი და სევდა.

ვაგლახ! ვერ შეისუნთქე წელიწადის 68-ე შემოდგომა. მედანის მაღაზია, სადაც მუშაობდი, გამოკეტილია, მხოლოდ ფანჯარასთან დგას მაგიდა, სადაც სანთლები და სასმელები აწყვია. ლარნაკში ჩაწყობილი წითელი ვარდები ლამაზად, თუმცა მოწყენით იმზირებიან, შენი სურათი კი მეტ ლაზათსა და სიტურფეს მატებს მათ. გამვლელ-გამომვლელი შეჩერდება შენი სურათის წინ, „ვაი სვეტა“-ს, ამოიოხრებს და რამდენიმე ხანს ნაღვლიანი თვალებით გიმზერს...

ასე გვგონია, ისევ ცოცხალი ხარ, შიგნით მეგობრებს ესაუბრები და დიდსა და პატარას ნუგბარით უმასპინძლდები.

ჩვენო სვეტა! კურთხეულ იყოს შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ტკბილად განისვენე სამუდამო სასუფეველში.

ემახსოვრები მედანელს,
ყველას — დიდსა თუ პატარას...
ღვთის ნება ასე ყოფილა,
დრომ ბედისამებრ გატარა...

მედიკო ფიფია,
ლარას დაწყებითი სკოლის მასწავლებელი

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲠᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ



ტრაგედია 1994 წლის შემოდგომაზე დატრიალდა...

იგი ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი იყო, გონიერი, კეთილი, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. არაკაცმა ხელი აღმართა და სასიკვდილოდ გაიმეტა საქართველოს საამაყო შვილი, მრავალგზის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი კრივში — ზურაბ სარსანია.

მას რომ დასცლოდა, ვინ იცის კიდევ რამდენს მიაღწევდა... ცხოვრების აღმავლობის გზაზე იდგა ჭაბუკი, ფოთელ სპორტსმენთა საუკეთესო წარმომადგენელი. შეწყდა ქართული კრივის ოსტატის, ერის სასახელო და სასიქადულო მამულიშვილის სიცოცხლე.

მშობლიური ქალაქის ქუჩებს დიდხანს ემახსოვრება ზურაბის ომახიანი ხმა და ვაჟკაცური ნაბიჯები. შეწყდა ადრე წარსული ახალგაზრდა კაცის ფიქრები, რომლის სიცოცხლე გარეწარის მუხანათურად გასროლილმა ტყვიამ შეიწირა...

ყველას გული დასწყვიტა, მთელ საქართველოს დააკლდა სახელოვანი მამულიშვილი, რომელიც მსოფლიოს არენაზე საფიცარი სამშობლოს სახელს იცავდა. იგი დააკლდა სპორტულ საზოგადოებას, რომელმაც ზურაბის სახით დაკარგა დიდი სპორტსმენი.

ქალაქ ფოთის ხალმძღვანელობის მონდომებით და სპორტსაზოგადოების მხარდაჭერით, ზურაბ სარსანიას მშობლიურ ქალაქში დაიდგა მისი ბიუსტი, რითაც მარადიულად უკვდავყოფილიქნა დიდი სპორტსმენის ხსოვნა.

უფალმა ზეციური ნათელი დაუმკვიდროს სახელოვან მამულიშვილს — ზურაბ სარსანიას! ამინ!

ჯანიკო ფურთუხია

გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა სახელოვანი თანამემამულე, დიდი მეცნიერი — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, **იაკობ (იაშა) ეგნატეს ძე მესხია** და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

ᲜᲝᲯᲘᲮᲣᲠᲘ

რედაქტორი — ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐ

„ნოჯიხურის“ მისამართი:
წალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის № 37.
ტელ: 591 91-32-89

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 2005 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲐᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲔᲑᲐ — ᲗᲔᲐ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲘᲐ
ᲢᲔᲚ: 555 49 22 07; 555 50 40 88